

ლიტერატურული მესხეთი

№12 (240)
დეკემბერი
2018 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მთავარი წელი

“LITERATURULI MESKHETI”

“ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

ძვერუასთ თანამედროვეთ, გვარჯუთ დამეგ შობა-ახალ წელს!

ავთანდილ ივანიძე

გვარჯუთ ღონისძიება

1
უფალო, მადლი მომაცხე,
გუნამლო ქვეყნის ვაებას,
მეყოს ძალა და გონება
სამშობლოს ასაყვავებლად.

შევძლო, დავიცვა მამულის
მინის ყოველი ნაჭერი,
შემიქონ ჭკუა, გონება
და დამილოცონ გამჩენი.

ვიღვანო, ისე ვიცხოვრო,
არ დავივიწყო მთავარი;
ღირსეულ შთამომავლად მცნონ
დავითისა და თამარის!

უფალო, მადლი მომაცხე,
გუნამლო ქვეყნის ვაებას,
მეყოს ძალა და გონება
სამშობლოს ასაყვავებლად.

2
ძმებს შორის გზა რად ჩალობეს, –
ფიქრი არასდროს მტოვებდა;
დამამეგობრე, უფალო,
ჩემს აფხაზ თანატოლებთან!..

გავიზრდები და კეთილი
საქმის მეტს არას ჩავიდენ,

გზა გამიხსენი, უფალო,
სამაჩაბლოში ჩავიდე.

იქ ჩემი თანატოლები,
ჩემი დები და ძმებია, –

ეს ამიხდინე, უფალო,
რაზეც ბავშვს მიოცნებია!



„მარზმობა“

სამცხე-ჯავახეთი ოდიტ-გან მდიდარი იყო თავისი ხუროთმოძღვრული ძეგლებით – ეკლესია-მონასტრებით და თვალნათლივ მიგვითითებს თუ რაოდენ დიდი კულტურის მატარებელია იგი. სხვა რომ არაფერი შექმნილიყო ამ მხარეში, მარტი საფარის, ვარძიისა და ზარზმის სიდიადეც კმარა, რომლის ხილვისას აღტაცებას ვერ მალავს ნებისმიერი დამთვალიერებელი. ზარზმა შუასაუკუნეების ბრწყინვალე ძეგლია, რომელიც თავდაპირველად დაუარსებია ადრეული ფეოდალური ხანის სასულიერო მოღვაწეს სერაპიონ ზარზმელს, რომელიც ფრიად განსწავლული იყო საქართველოს ძირძველი მხრიდან – კლარჯეთიდან. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შესანიშნავი თხზულება მიუძღვნა ბასილ ზარზმელმა.

როგორც ცნობილია სერაპიონს აღნიშნული ძეგლის აგებაში განსაკუთრებული დახმარება გაუწია მესხმა მთა-

ვარმა გიორგი ჩორჩანელმა, რომელმაც არამარტო ხელი შეუწყო ძეგლის მშენებლობის საქმეს, არამედ არაერთი საეკლესიო მამული და სოფელიც შესწირა მას. დროთა განმავლობაში მრავალი ფორმაცია განიცადა ზარზმის მონასტერმა და დღემდე მოაღწია იმ სახით, რომელიც XIV საუკუნის დასაწყისში სამცხის მთავრის ბექა მანდატურთუხუცესის დროს აიგო.

ზარზმის მონასტრი ერთ-



ერთი უდიდესია საქართველოში და თავისი სიდიადით ტოლს არ უდებს არც ერთ ტაძარს.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში ზარზმის სამონასტრო კომპლექსის მფლობელმა ხურციძემ, ტაძრის ძველი მხატვრობის ნაწილი ახლით შეცვალა,



სა და ფრესკების რესტავრაცია, რის გამოც, სამწუხაროდ, მხატვრობის კოლორიტი და ნაწილობრივ სტილისტიკური თავისებურებაც შეიღახა, თუმცა



უკანასკლელ ათწლეულში განახლდა რა მისი სარესტავრაციო სამუშაოები, სამონასტრო კომპლექსს კვლავ დაუბრუნდა ძველი დიდება.

როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, ასევე აქაც, ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევით და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, რამდენიმე ათეული წელია ყოველი წლის 11 ნოემ-

ბერს, ტრადიციულად, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, იმართება დიდი სახალხო დღესასწაული „ზარზმობა“. ადიგნელებმა არც წელს უღალატეს ტრადიციას. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, მეუფე თეოდორემ და ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ, საზეიმო წირვა აღავლინეს. წირვას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, სამცხე-ჯავახეთის მხარის გუბერნატორი ბესიკ ამირანაშვილი, ადიგნის მუნიციპალიტეტის მერი ზაქარია ენდელაძე, სასულიერო და საერო პირები ესწრებოდნენ. სახალხო დღესასწაულის ფარგლებში გაიმართა კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს ადიგნისა და ახალციხის ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა „მეტეხმა“, „ტაომ“ და სხვ.

თამაშა ვპარდიძე, ა. ადიგენი

პროზა

აპირან ჯიუხაკი

სალამო ხანს ეკა მხიარულ გუნებაზე იყო. საძინებელ ოთახში ფარდა გადაწია, შუქი აანთო, სავარძელში მოკალათდა, თმა უკან გადაიყარა. ტელევიზორი ჩართო. ჩაფიქრდა. გიგი გაახსენდა, — ორი დღეა რაც გაიცნო, დაატყვევეა მისმა ლამაზმა თვალებმა, თეთრმა სახემ და, რაც მთავარია, ვაჟკაცურმა ბუნებამ.

ორი დღე ხომ არაფერია ცხოვრებაში, რაღაც წამი მარადისობის, მაგრამ, ხანდა-ხან, ადამიანისთვის დროს ეს პატარა, უმნიშვნელო მონაკვეთი, ყველაფერია, თავისი განცდებით, ოცნებებით, მომავალზე ფიქრით...

ეკა ფიქრობდა ნახ, ალტაცებულ სიყვარულზე...

მართალია ძალიან მოსწონდა გიგი, მაგრამ ათასწირობა აზრი უტრიალებდა თავში, პატარა აღარ იყო, ყველაფრისთვის ხაზი რომ გადაესვა, უკუეგდო, ნეტავი როგორი ცოლი იქნებოდა, როგორ გაუძღვებოდა ოჯახს, ზოგჯერ კი, საპირისპირო აზრები ნამოინევდა წინ, — უყვარდა გიგის? ნამდვილად მოსწონდა ეკა? ამის გაფიქრებაზე ხასიათი მოუნამბლა, მაგრამ როცა გაახსენდა, რომ ხვალ უნდა შეხვედროდა - დანყნარდა, დამშვიდდა, ტელევიზორი გამორთო და კვლავ ფიქრებს მისცა თავი. შემდეგ სამზარეულოში გავიდა. ჩაიდანნი დადგა. მშობლები თეატრში იყვნენ. გვიან დაბრუნდნენ.

ის ღამე მოუსვენრად გაატარა...

დღით ადრე გაეღვიძა. ფანჯარა გამოაღო. სუსხი შემოიჭრა ოთახში, სიცივისაგან ტანში გააყრუოლა, თვალები მოიფშინიდა, ძილბურანდიან საბოლოოდ გამოერკვა. საათს დახედა, რვა საათი იყო. ცხრაზე ლექცია ეწყებოდა. სარკეში თავის ორეულს თვალი ჩაუკრა, თმა გადაივარცხნა, ისაუზმა და უნივერსიტეტში წავიდა. დღეს ორ საათზე უნდა შეხვედროდა გიგის.

ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა, ლოდინს ვერ იტანდა, მით უმეტეს, ახლა. ლექციებს გული ვერ დაუდო. კვლავ გიგიზე ფიქრობდა. უნივერსიტეტიდან გამოსულმა პაერი ღრმად ჩაისუნთქა და შენობას გახედა.

მიიღო ნელა. ქუჩაში რამდენიმე წყველს მოჰკრა თვალი. წინათ რატომღაც მურღა მათი, ახლა ყველაფერი მოსწონდა, — მათი მიხერა-მოხერა, ემპაქური გამოხედვა. ფიქრებში გასულს ვიღაც მალაღმა, გამხდარმა ბიჭმა შემთხვევით მხარი გაკრა. ეკა უმალ გამოერკვა. უცნობს ახედა. თექვსმეტჩვიდმეტი წლის ბიჭი იყო. ახალგაზრდამ ბოდიში არც კი მოუხადა. ეკას ხმა არ ამოუღია, ისე განაგრძო გზა. თუმცა, მაინც ინანა, ასე რატომ მოვიქციე, უკან მოიხედა, დიდხანს უყურებდა მიმავალს.

სამარშუტო ტაქსში ასვლა გადაწყვიტა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, ფეხით სიარული ამჯობინა. კვლავ გიგიზე დაიწყო ფიქრი. აქამდე ასე არავისზე უოცნებია, მართალია, ბიჭი სხვა დროსაც მოსწონებოდა, მაგრამ ასეთი განცდა არასოდეს არ ჰქონია.

ცოტა ხნის შემდეგ ეკა დათქმულ ადგილზე მივიდა. გულს ბაგაბუკი გაჰქონდა. გიგი უკვე ელოდა. ერთმანეთი ნახად გადაკოცნეს.

— როგორც გინდა, — გაულმა ეკამ და გიგის ნახად მიეკრა. ტაქსი გააჩერეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ რესტორანში იყვნენ. ახალ გარემონტებულ დარბაზში სისუფთავეს და სიმყუდროვეს დაესადგურებინა. ეკა ცნობის ნადილით უყურებდა, როგორ ელაპარაკებოდა გიგი ოფიციალტს, როგორ ხსნიდა შამპანიურის ბოთლს, როგორ აესებდა ჭიქებს.

გიგი როცა ყველაფერს მორჩა, ხელეზი მოისრისა და სუფრას მოაფლო თვალი, კმაყოფილი დარჩა, სიყვარულით გადახედა ეკას, რომელსაც ბაგუზე ღიმილი არ სცილდებოდა.

— რატომ გელიმბა? — შეეკითხა გიგი.

— არასდროს არ ვყოფილვარ ბიჭთან რესტორანში.

— ძალიან კარგი, — თავმომწონედ უპასუხა გიგიმ, ჭიქა მალაღმა ახსნა და წყნარად წარმოსთქვა:

— მოდი, ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! — არის ისეთი დღეები, — განაგრძო გიგიმ, რომელიც ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია, გადაწყვეტია. აი, ახლა, ამჟამად, ვერ წარმიდგენ, რა ბედნიერი ვარ, მიხარია, რომ შენს გვერდით ვზივარ, შენთან ვლაპარაკობ. ასე მგონია, შენამდე არაფერს წარმოვადგენდი, უაზროდ ვცხოვრობდი, გაგიცინი და სხვა სამყაროში აღმოვჩნდი, მოკლედ, ზღაპარში მგონია თავი.

— კარგი, გიგი, — შეანყვეტინა ეკამ. — მთელი დარბაზი შენ გიყურებს, ძალიან ხმაილალა ლაპარაკობ.

— მე რა, მიყურონ, რას ვაშკვებ, ხომ არ უნდათ ცხვირ-პირი ჩავუმტვრო! — რიხიანად წარმოთქვა გიგიმ და დარბაზს თვალი მოავლო.

— გთხოვ, გიგი, რაც არ უნდა იყოს, ხალხს უნდა გაეუწიოთ ანგარიში.

— კარგი, ასე იყოს, შენი ხათრით ხმას არ ამოვიღებ!

— გიგი, შეიძლება მე ვთქვა ერთი სადღეგრძელო?

— კი, გენაცვალე, გულდასმით გისმენ!

— ეკამ თვალები დახუჭა, შემდეგ ნელ-ნელა გაახილა და ჭიქა მალაღმა ახსნა.

— გიგი, — დაიწყო ეკამ, — სიმათლემ უნდა გითხრა, მეც ძალიან მიხარია, შენს გვერდით რომ ვზივარ, ვსაუბრობთ. მჯერა, რომ შენ ჩემთვის ყველაფერს გააკე-

რება, მაგრამ ერთსაც გთხოვ, ნუ გამიცრუებ იმედებს, არ მომბატყო, არ მიყვარს მხდელი მამაკაცები! — ეკამ ჭიქა ისე გამოცალა, ვაჟისთვის თვალი არ მოუცილებია.

გიგიმ ეკას შეხედა და გაკვირვებულმა ჰკითხა:

— ამას რატომ მეუბნები?

— არა, ისე, რაღაც ხომ უნდა მეთქვა.

გიგიმ შამპანიური მოსვა, ჭიქა მაგიდაზე დადო. გვერდით მაგიდასთან ნაცნობი შენიშნა, დინჯად წამოდგა, ეკას ბოდიში მოუხადა. მალე ორივენი ერთად დაბრუნდნენ. გიგიმ ეკას მეგობარი გააცნო.

— ჩემო ვახტანგ, აი ახლა ჩემს წინ ყველაზე ძვირფასი ადამიანია, მართალია დიდი ხანი არაა რაც ვიცნობ, მაგრამ, ჩემთვის, უკვე ყველაფერია, სიყვარულს, ხომ იცი, ყველაფერი შეუძლია, ძალიან მინდა, ვახტანგ, ეკა მიდღეგრძელო!

ვახტანგმა ჭიქა ახსნა და წყნარად დაიწყო:

— გაგიმარჯოს ეკა, სულ კარგად იყავი, მართლაც კარგი ბიჭია გიგი, გისურვებთ ერთმანეთისთვის უფრო კარგად გაგვეყოთ. ეკა ხვდებოდა, რომ ვახტანგი, ცოტა არ იყოს, პათეტიკურად ლაპარაკობდა. მისი სიტყვები ყალბად უღერდა.

ვახტანგი მალე წამოდგა, მადლობა გადაუხადა გიგის, ეკას თავი დაუკრა და თავისი მეგობრებისაკენ გაემართა.

— შენ კარგად იცნობ ვახტანგს? — შეეკითხა ეკა.

— ჩემი უბნელია, კარგი ბიჭია!

— ცოლი ჰყავს?

— არა, რა ეჩქარება!

— კარგი ბიჭი ჩანს.

— აბა, მე ცუდი ამხანაგი მეყოლება?! — თავი მოიწონა გიგიმ.

მარტის გვიანს საღამო იყო, რესტორნიდან რომ გამოვიდნენ, სუსხი ოდნავ იგრძნობოდა, მაგრამ ქუჩაში სიარული მაინც სასიამოვნო იყო, ირგვლივ გაზაფხულის სუნი ტრიალებდა.

ლაპარაკში გართულებმა ვერც კი შეამჩნიეს, როგორ მიუახლოვდნენ ეკას სახლს.

— აი, ამ სახლში ვცხოვრობ, — მიუთითა ეკამ, მე-7 სართულზე, ასე, რომ, ჩემი სახლიც იცი, თუ გინდა ამოდი.

— არა, დღეს არა, სხვა დროს იყოს.

— კარგი, როგორც გინდა ის-ის იყო, სადარბაზოს მიუახლოვდნენ, რომ მოპირდაპირე მხრიდან უზარმაზარი, ყავისფერი ძაღლი გამოვარდა.

ძაღლი პირდაპირ მათკენ მორბოდა. გიგი შეეცრა შეცბა და დაბნეული უნებლიე მოძრაობით ეკას ამოიფარა...

ძაღლმა გვერზე ჩაუბრინა და თვალს მიეფარა.

ეკამ ნელა ახსნა თავი. გიგის შეხედა, მაგრამ მაშინვე მოარიდა თვალი, ფრთხილად მოცილა ვაჟის ხელი, თითქოს რაღაც ჩანყდა, სულში სიცივემ დაიბუდა.

ისე დასცილდნენ ერთმანეთს, ხმაც არ ამოუღიათ.

ამის შემდეგ ეკა გიგის აღარ შეხვედრია.

ეკა



— როგორ ხარ? — შეეკითხა გიგი.

— როგორ ვიქნები... დაიმორცხვა ეკამ.

— რა ვქნაო, სად წავიდე? გიგი ეკას მიაჩერდა. მოსწონდა მისი თაფლისფერი თვალები, კობხა ცხვირი, ვარდისფერი, პატარა ტუჩები.

— სადაც შენ იტყვი!

ქუჩას ნელი ნაბიჯით გაუყვინენ.

— მოდი, რესტორანში შევიდეთ, ჩვენი გაცნობა აღვნიშნოთ, — ცოტა ხნის შემდეგ წყნარად თქვა გიგიმ.

„ანექლოტები“

სალამოს ათი საათია, ჩახუთულ ოთახში ისე ცხელა, სუნთქვა ჭირს. სკამებზე მამაკაცები სხედან, არც ერთი ხმას არ იღებს, ცოტა ხნის შემდეგ დუმილი ზურამ დაარღვია, რომელსაც მოგრძო თავი და ძალიან ხშირი, შავი თმა აქვს. ლაპარაკი დაბალი ხმით დაიწყო: — მაპატიეთ, ბატონებო! თუ წინააღმდეგე არ იქნებით, მე, ახლა, ერთ ანექლოტს გეტყვით!

— ბრძანეთ, — გულდასმით გისმენთ, — უპასუხა თენგომ, რომელიც, ზურასაგან განსხვავებით, სულ გაჭაღარავებულიყო.

— კეთილი, მაშინ დავინყებ: — ძმაკაცი ეუბნება ძმაკაცს: — გუშინ დაბადების დღიდან წავედი პირდაპირ კაზინოში ჩემი 10 000 დოლარიანი მანქანით.

— მე რე?

— მე რე, იქიდან, 20 000 დოლარიანი ყვითელი ავტობუსით წამოვედით, — უპასუხა ძმაკაცმა.

— თენგომ ჩაიციანა და თავი დახარა. სხვებმაც გაიციანეს და ერთმანეთს უხერხულად გადახედეს.

წამიერი დუმილი კოტემ დაარღვია, რომელსაც ხორბლისფერი თმა ერთიანად განითლებულ სახეზე ჩამოშლილია, მეც მოგიყვებით ერთს:

— მშობელი ეკითხება ლექტორს, — ჩემი

შვილი ხვალ საგანს გაბარებთ, მაგრამ წინასწარ ვიცი, რომ ჩაიჭრება!

— 500 დოლარზე დაენილავდეთ, რომ არა, — პასუხობს ლექტორი.

ეს ანექლოტი კოტემ მშვიდად, თან რაღაც უგერვილოდ წარმოთქვა.

მამაკაცებმა ოდნავ გაილიმეს და ერთმანეთს კვლავ დამნაშავეებით გადახედეს.

— რადგან ანექლოტებია, მეც გავკადნიერდები, — წარმოთქვა კუკურამ და რბილი სკამიდან წამოიწია, თუმც უმალ დაჯდა. კუკურის მრგვალი, მელოტი თავი ჰქონდა და აშკარად ეტყობოდა, რომ უემპაკო კაცი იყო, — ცოტა მოიცადა და წყნარად დაიწყო: — კახელ ქალს ეკითხებიან: — მარო, რძალი გამოვადგა?

— რავი, მგონი ავადმყოფი „შამამაპარეს“. ნუხელი მთელი ღამე კენესოდა!...

ამის გაგონებაზე ყველას თვალები გაუბრწყინდა და ოთახს თავშეუკაცებელმა ნერვიულმა სიცილმა გადაუარა. განსაკუთრებით კუკური გამოირჩეოდა, მან იმდენი იცინა, რომ თვალებიდან ცრემლები გადმოსცივდა!

— თქვენზე ნაკლები რით ვარ, მეც ვიტყვი! — წარმოთქვა ნუგზარმა და წარბებს ქვემოდან კუკურის გახედა, რომელიც ცხვირსახოცით იმშრალებდა თვალებს.

— აბა, მოგახსენე! — ირონიულად უთხრა გიზომ.

— კი, ბატონო, ახლავე გეტყვით: — ერთი კაცი ამბობს, გაზეთში ნავიკითხე, სიგარეტის მოწვევა იპოტენციას ინვესო!

— მე რედა შენც დაანებე თავი? — უთხრა მეგობარმა.

— ვერ მოვასწარი!

ნუგზარსაც, კუკურისთვის, თავისივე ანექლოტის შემდეგ, აუტყდა სიცილი, ვერა და ვერ გაჩერდა, ბოლოს თავს ძალა დაატანა და ხელეზი მუხლებზე დაუშვა.

— თუ აგრე, მეც გეტყვით! — თქვა ბესომ, რომელსაც ფერმკთალი სახე და ნერვიული შესახედაობის იერი ჰქონდა. — აბა, შენ იცი, — ჩუმად წააქეზა როსტომმა, რომელსაც, ბესოსგან განსხვავებით, ძალიან სქელი, მრგვალი ლოყები და მეტად წყლიანი თვალები ჰქონდა.

ბესომ ჩაახველა და დაიწყო: — ძმაკაცი ეკითხება: — ანზორ, შენი ბინის ზემოთ პროფესორი რომ ცხოვრობს, იცნობ?

— რა ვა, არა, მეზობელია, შე კაცი.

— ჰოდა, „ცისფერი“ როა, იცოდი?

— არა არ გაიგებს კაცი! მაგი კი ვიცოდი, მარა, პროფესორი თუ იყო, ახლა გავიგე!

ამ ანექლოტზეც ყველას გაეცინა. კვლავ დუმილი ჩამოვარდა. ჩახუთულ ოთახში კიდევ უფრო დაცხა. სიჩუმე ახლა თემურმა დაარღვია, რომელიც უცნაური მიხერა-მოხერით გამოირჩეოდა. მან, სხვებისგან განსხვავებით, ყოველგვარი შესავ-

ლის გარეშე პირდაპირ ანექლოტი დაიწყო!

— ერთი ბავშვი ეუბნება მეორეს: — მე დელიკოს ძალიან ვუყვარვარ.

— რა იცი?

— უკვე მეოთხე მამიკომ მიმატოვა, ის კი არსად არ მიდის!

დაამთავრა თუ არა, თემომ ჯერ უხერხულად ჩაიციანა, შემდეგ თავი დახარა და თავის ფეხსაცმელს მიამტვრდა.

ნერვიული სიცილი ოთახს კვლავ უსიამოდ მოედო, თუმცა კიაზოს, რომელიც ფეხზე იდგა და ისე უსწენდა ყოველივეს, ძალიან უნდოდა გაეცინა, მაგრამ თავს იკავებდა, სახეზე ნამორნილად და ლოყები აუთამამდა, ხლო ემზარი, რომელიც ისედაც ძალიან სქელი იყო და სკამზეც ძლივს რომ ეტეოდა, ყველას აკვირვებდა და მწარედ იღიმებოდა.

ამის შემდეგ კიდევ ბევრი ანექლოტი ითქვა, ბევრი იცინეს, უკვე დილის რიყრაჟიც შემოეპარათ, თავზე დაათენდათ, კიდევ! ვანო ერთადერთი იყო, რომელსაც საერთოდ არ გაუცინია. იგი სკამიდან წამოდგა, ლოჯში გავიდა და ფანჯარა გამოაღო. ოთახში შემოდგომის ცივი ჰაერი შემოიჭრა, გარეთ ქარი ქვითინებდა და ხეებს ფოთლებს აცვენინებდა. ვანომ ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, ამოიხარა და კვლავ უფხვანგადლო სიგარეტის კვამლით შეხუთულ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, სადაც მიცვალებულის სასახლეს სამგლოვიარო გვირგვინები ალყად შემორტყმოდა. კაცები დუმდნენ. ვანოს ძმას დღეს გაასვენებენ!

დაუნ თუჩაქა

პოეტი

გაგიკვირდებათ, მაგრამ ასეა –
უცნაურია პოეტის ბედი,
ზოგი დიდების ხიზლით სავსეა,
ზოგს არ დასცალდა სიმღერა გედის!

წუხდა პოეტი,
სულ მუდამ წუხდა, –
თუ რად? ამაზე კამათი არ ღირს,
ზოგში საქვეყნო ნაღველი დულდა,
ზოგს იტაცებდა ციური თალი.

ალბათ, თქვენც ბევრჯერ,
ბევრჯერ გინახავთ
პოეტი შურით ნაჭრევ-გერშილი,
ზოგი ხელმწიფის კარზე ბრწყინავდა,
ზოგს კი სახელი ჰქონდა შეშლილის!

პოეტს სულ მუდამ,
მუდამ ტანჯავდა
სიმარტოვე და შორი ზმანება,
ზოგჯერ ღამეებს ფლირტში ხარჯავდა,
ზოგჯერ ელოდა მუხის ბრძანებას!

პოეტებს, თურმე,
ერთი ზნეც ჭირდათ
დღემდე მოსული იდუმალებით,
ყამთან ომებში მკლავი უჭრიდათ
და მარცხდებოდნენ ქალის თვალებით.

ასე იყო და
აბა, მე რა ვქნა?
პოეტს თან დაჰყვა სამშობლოს წყლული,
ზოგის სიცოცხლე ლექსებში ჩაქრა,
ზოგმა ბრძოლაში დალია სული!

შობის ღამე

შობის ღამე
ანთებს ციურ ღამპარს,
შობის ღამე
მკრთალი, ღვთაებრივი,
მწუხრის ღამდში ეძებს თავსესაფარს,
იმედის წამს შერჩენილი სხივი.

გუმინდელი მოჩვენების შიშით
შეშლილივით მივანყდები მინას,
ქარიშხალი დაძრწის მღვრიე ქვიშით,
რომ ჩააქროს სხივი პანანინა!

უამი ნებით ხსნის უხილავ კარებს,
გზა იწყება, ვიცი, წამებრივი,
უნდა ვძლიო გაავებულ ქარებს
და დავიხსნა მარტოსული სხივი!

ნაადრევი განა ფოთოლცვენა, –
მე მაფიქრებს მდუმარება ველის,

ეკლის გვირგვინს ნათლით მოსავს რწმენა
და მძიმე ტვირთს არსი ღვთიურ ძელის!

სევდიანი გულს აშინებს მზერა,
ხევის პირას გარინდული ფარის,
რატომ? რატომ? ბრმა არჩევანს, ჯერაც,
არ აწუხებს სინანულის ბზარი?!

ელვა კანრავს მტანჯველ კითხვის პნკარედს,
განმკითხავი არსაიდან არ ჩანს
და ვით ტბაში გალუული მთვარე
ლელიანში კრთის მთვლემარე ყანჩა.

შობის ღამე შლის ქარიშხლის ფაფარს,
შობის ღამე,
მკრთალი, ღვთაებრივი,
და სულ ახლოს განთიადის ღამპარს
ელოდება ბედისწერის სხივი!

კალი

მძიმეა, თურმე,
მინისათვის დაცემა ფოთლის,
ფიქრებით სავსე ნაბიჯებიც ამძიმებს მინას,
მე ჩავიმუხლებ და სათუთად ვეამბორები,
რომ დალილ შუბლზე მოვწმინდო ოფლი...

ცივი ნათება გააფთრებს დღის იდილიას
და თრთოლვით ვეძებთ ცის სარკეში
სახეს არყოფილს,
და ვინ ამისხნის, მინისათვის რა ტკივილია
შორს, შორიზონტზე, გამოჩენა გონის ნაყოფის!

და გადამტანი ათასგვარი საშინელების
უარეს განცდით ელოდება მზის ეფემერას,
და ზეცისაკენ აღმართული მწვანე ხელებით
სხვისი მშველელი და მფარველი
თვით ითხოვს შევლას!

მიჰყვება ნებით ნუთისოფლის შეუცნობ ბორბალს
და იცვლის ფერებს
ბუნებასთან თანაზიარი,
გაზაფხულის ხიზლს დაგვაგინებებს ზაფხულის ბორგვა
და ფოთოლცვენას თეთრი ღამე – სევდა იანვრის!

იბრუნებს ხშირად ამღვრეულ სულს უხმოდ უბეში
და როცა ვერ სძლევეს
მხოლოდ მაშინ გუგუნით გვიხმობს,
ალბათ ამიტომ უდგას მუდამ ცრემლი გუგებში,
რომ ავი სული კიდევ ერთხელ არ განარისხოს!

სძინავს წარსულით
და იღვიძებს მომავლის ზარით,
სიზმრით დაღლილი ელოდება ცისკრის ამოსვლას,
მისთვის ერთია
სინაგოგა,
მეჩეთი,
ჯვარი,
ერთი ძუძუდან აწვდის საზრდოს ყველა სალოცავს!

ავთანდილ ბერიძე

მთას ნაკადული ჩამოყვა
და ისე ჩამოივსა,
როგორც ბუხართან მოხუცი
იქცა ზღაპრად და არაკად.

მთის ამბებს ბარში ყვებოდა,
გული უცემდა ბავშვივით,
თითქოს თან ჩამოიყოლა
მწვერვალი ცაში გაშლილი.

ხევ-ღელეს ახმინებდა
ახალ აქორჩილ ჩქერებით,
დროც კი არ ჰქონდა იმისი
რომ ევლო სვენებ-სვენებით.

ავ-ზრახვანი
ავ, ავ, ავ-ად, –
ავ-თვალ,
ავ-გულ,
ავ-სულ თანა,
ავად, თავად, ავად ტანად,
გვიმრავლდება ავად,
შავად ...

ავ-კაც,
ავ-ხორც,
ავ-დარ ჩინად,
მოდება ჩვენდა ჭირად...
მეტასტაზი ავ-ხორც,
ავ-სულ ...
არსით ხსნა და ...
ავ, ავ ...
კი – სულ ...

მძაფრდება არსი ყოველივე წარმავლობის,
ოდეს დაიჭერს განწირულთა მზერას გემიდან...
რა ქნას, ქვეყნიურ ცოდვების თუ ბედის კვალობით,
როცა იღუმალ, მშვენიერი ცდება თემიდაც?!

მოაქვს უამი-უამ შორეულ ხმას ფარული კენესა,
აშინებს თეთრი მდუმარება
და ცეცხლის წვიმა,
ო, როგორ ტკივა სინანულით პომპეის დღესაც
და ბოროტება გენიისა ღრღინის ხიროსიმა!

და, როგორც დედა
ავთვალთაგან საყვარელ ყმანვილს
ძნელად გასაკვალ ნისლში მალავს მაცდურ მწვერვალებს
და უკვირს, რატომ უტრიალებს გონება კაცის
„ბართლომეს ღამეს“, თერმიდორებს და თებერვალებს!

და, ოდეს სულში ოცნებების ბაღს გაკაფავენ
და შორეული ზმანებიდან არავის ველით,
ანაზღუდად მოგვაგონებს ძვირფას საფლავებს,
რომ ახლა მანაც დავინახოთ დღე ხვალინდელი!

მძიმეა, თურმე,
მინისათვის დაცემა ფოთლის,
ვინ იცის, იქნებ, ნაბიჯებიც ამძიმებს მინას?
მე ჩავიმუხლებ და ვით მშობელს ვეამბორები,
რომ დალილ შუბლზე მოვწმინდო ოფლი...

მესხეთის სევდა

ჩანს საყდარი გაღმა
სევდიანი მზერით,
ალარ ბრუნავს წაღმა
ჩარხი ბედისწერის!

არ ბობოქრობს ქარი,
არც გუგუნი ისმის,
არ განიხვენს კარი –
სული მარადისით!

ზეცს ალარ ესმის
გმინვა დამშრალ ლელის,
ალარ კვენისის ლერწმის
გამოჭრილი ყელი...

მხარზე არვის უდევს
ზეციური ძელი
და ჩამოშლილ ზღუდეს
ალარავინ შევლის!

საყდარი კი სერზე
თმენით ფურცლავს დრო-ყამს,
ვით კრწანისის ველზე
მოფარფატე დროშა!



ნახ. შორენა ტატურაშვილისა

არა მხოლოდ რუსთაველოლოგთა, მკითხველთა ფართო წრის ინტერესს ყოველთვის იწვევდა „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპი - „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხუადია“ (40) (ტექსტი დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის საიუბილეო გამოცემიდან.)

სწორედ ტაეპის შინაარსს თანამედროვე საზოგადოებრივ პრობლემებს მიახლოებენ ხოლმე და ყურადღების მიქცა რჩება ის ეპოქა, ან, თუნდაც, კონტექსტი, რომლის გათვალისწინების გარეშე ფრაზა თავის რეალურ შინაარსს მოწყვეტილია.

აღნიშნული ტაეპის თანამედროვე ინტერპრეტაციები ძირითადად ასეთია: მას უკავშირდებიან გენდერული თანასწორობის იდეას, ან ფიქრობენ, რომ ტაეპში საუბარია მეფის შვილთა, ვაჟისა და ქალის, უფლებრივ თანასწორობაზე.

არამხოლოდ საქართველოს, ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, ტრადიციის თანახმად, მეფის შვილთა, ქალსა და ვაჟს შორის, ტახტის მემკვიდრედ ცალსახად მოიაზრება ვაჟი და კითხვა, თუ რომელი უნდა გამეფებულიყო მათ შორის, არც დაისმობოდა. არც ვაჟიშვილები არიან თანაბარუფლებიანი ამ თვალსაზრისით, ტრადიციულად მეფობა გადადის უფროს ვაჟზე. სულ ორიოდ შემთხვევა აღინიშნა საქართველოს ისტორიაში, როდესაც იყო მცდელობა მემკვიდრეობის ლეგიტიმური უფლება გადასცემოდა უმცროს ვაჟს. ამის დასტურად მოვიხმობთ დავით აღმაშენებლის ანდერძს, რომელშიც მეფე თავის მემკვიდრედ და მომავალ მეფედ აცხადებს უფროს ვაჟს, დემეტრეს: „და მივანდევნე შვილნი და დედოფალინიცა, შუამდგომლობითა ღმრთისათა, რათა ძმას მისი გაზარდოს. და თუ ინებოს ღმერთმან და ვარც იყოს ცვატა, შემდგომად მისსა მეფე ყოს მამულსა ზედა“ (დავით აღმაშენებლის ანდერძი, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. II, 1965.)

ამდენად, დავით აღმაშენებლის სურვილი ყოფილა დემეტრეს შემდგომ მისი უმცროსი ძმის, ცვატას, გამეფება. კიდევ ერთი შემთხვევა ტახტის მემკვიდრეობის უფლების ლეგიტიმაციის მცდელობის მომდევნო ვაჟზე უკავშირდება მეფე ერეკლე მეორის სახელს, თუმცაღა ეს შემთხვევები (რომლებიც რეალურად არც განხორციელებულა) გამონაკლისებად აღიქმება ისტორიულ ტრადიციაში.

როდესაც საქმე ეხება მეფის ასულს, როგორც ერთადერთ მემკვიდრეს, მისი გამეფების პრეცედენტი (ვგულისხმობთ თამარ მეფეს) იყო უჩვეულო (და პირველი) მოვლენა, რომლის განხორციელებას წინ უძღვოდა საკმაოდ რთული და მტკიცენული პროცესები (დაკავშირებული დედას უფლისწულთან).

„ვეფხისტყაოსანში“ ქალი-მემკვიდრის გამეფება არაბეთის სამეფო ტახტზე არ არის მიჩნეული ჩვეულებრივ, ტრადიციულ ფაქტად და მას ახლავს თავისი გამამართლებელი გარემოებანი, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

როგორც ჩანს, აღნიშნული ტაეპი ადრევე გამხდარა რუსთაველოლოგთა პოლემიკის საგანი. ნიკო მარი წერდა: „ამ ლექსის ძალიან ანგალებდნენ, რათა გამოეწურათ მისგან იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ შოთა ქალთა სწორუფლებიანობის მომხრე იყო. ნამდვილად კი აქ ლაპარაკია თანასწორობაზე მეფის ოჯახის ვინრო წრეში, როგორი თანასწორობაზე ნადართა მეფის ოჯახშიც არის“ (H. Я. Марр, „Руставинская поэма „Витязь еборсовой шкуры“ Шоты из Руставаинской культурно-исторической проблема“, ИАН, 1917 г.).

კორნელი კეკელიძე ამგვარ ინტერპრეტაციას არ ეთანხმებოდა: „ნ. მარს, ალბათ, ყურადღება არ მიუქცევია იმისათვის, რომ მეფე როსტევენი, ეს შეუდარებლად სრულქმნილის, უმშვენიერესი ქალიშვილის – თინათინის მამა სწუხს და გოდებს იმის გამო, რომ ღმერთმა მას გათიშავა არ მისცა. მამასადაც, მეფის ოჯახისთვისაც სულერთი არ ყოფილა ვაჟისა და ქალის ყოლა“ (კ. კეკელიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, თბ., 1981, 6, 2.).

ვუკოლ ბერიძის აზრით, აფორიზმში ქალთა თანასწორობაზე ლაპარაკი არ იქნება სწორი. „როსტევენი მეფე დამწუხრებულია: ვაჟი მემკვიდრე არ ჰყავს, მხოლოდ ერთი ქალი უზის ვეზირები ანუგეგმევენ: „თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია...“ ე.ი. ქალი გყავს, მაგრამ ხელმწიფედ წინდანიხვება დაბადებული (ლაპარაკია სამეფო უფლების ღვთისმშობლად). პირში არ გეფიქრებია, იცის მეფობა, ეს უთქვენიოდაც გვითქვამს, საზოგადოდ, მისი საქმეები მისი შუქივით განათებულია. რატომ იმბოტო, რომ იგი შენი, ლომის, ე.ი. მეფის შვილია და შენი შვილი, ქალი იქნება თუ ვაჟი – სულერთია. მამასადაც, ამ მეოთხე სტრიქონში, თუ ვინმეა შექმნილი, ისევე მეფე და არც შეიძლება მამის, მე-12 საუკუნეში, ამგვარი საკითხების დამოყენება“ (კ. ბერიძე, „ვეფხისტყაოსნის გარემო“, თბ., 1936).

ნიკო მარს ტაეპი „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხუადია“, პოემის საპარსულიდან – ორიგინალიდან გადმოღებული დედა მიანდა, მსგავს აფორიზმს ნიხამი განჯელთანაც ვხვდებით: „ლომი ბრძოლაში სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხუადია“.

კორნელი კეკელიძის ღრმა რწმენით კი ეს აფორიზმი ქართულ-მა ისტორიულ-სინამდვილეში ნარმოცა: „ყველაფერი ეს შესაძლებელი და მოსალოდნელი იყო ინდოინელ საქართველოში, სადაც ქალში ხედავდნენ არა „ბოროტის სანწყის ევას“, არამედ „ბოროტის დამთრევულის იესოს დედას“, იმ „ღვთისმშობელს“, რომლის „წინადაცემით“ რუსთაველის ეპოქის დასაწყისში, გამოცხადებულ იქნა საქართველოს ეს მოსალოდნელი იყო საქართველოში, რომლის „განმანათლებლად“ წინოს სახით, ქალი იყო აღიარებული... იმ საქართველოში, სადაც მეფობდა ქალი, თამარი, სადაც აჯანყებულ დიდებულ ფეოდალებს, ისტორიკოსის ცნობით, აშშ-ვიდებდნენ და მორჩილებაში მოიყვანდნენ ზუაშაქი ცოქალისა და კრავაი ჯაყელის მსგავსი მანდილოსნები“.

ამ აზრს ნიკო მარიც იზიარებდა: „საქართველოში – XII საუკუნის ბოლოს სათანადო პირობები იყო ლიტერატურაში ამ საინტერესო მოვლენის განვითარებისათვის“. აქვე უნიშნავდა, რომ „ქალის კულტი“ არ არსებობდა აღმოსავლურ მუსლიმანურ ლიტერატურაში. მკვლევარმა სარგის კაკაბაძემ „ქალის კულტი“, როგორც ქართული ეროვნული მოვლენა, „სხვა საბუთებთან ერთად“ პოემის სიტუაციის ორიგინალიდან თეორიულად დაუკავშირა.

აცი“? ჩანს თუ არა პოემის სიტუაციის მიხედვით ქალისა და კაცის თანასწორობა? რას ნიშნავს „ლომი“ მოცემულ ტაეპში და ზოგადად პოემაში რა მხატვრული ფუნქცია აქვს მას? როგორია კონტექსტი საკვლევი ტაეპისა?

ქალი და დიაცი: პოემამო გამოიყვანია ეს ცნებები: დიაცად არც ერთხელ არ იხსენიება არც თინათინი, არც ნესტან-დარეჯანი, არც ასმათი. „დიაცი“ უკავშირდება ფაქტის ეპიზოდს ან უშუალოდ მიემართება მას. ის ძირითადად თითქმის სქესს, ქალურ სისუსტეს, ემოციურობას უსვამს ხაზს. ორიოდ შემთხვევაა, როდესაც ნესტანი თავს ადარებს დიაცს იმდგაცრუების ან თავმდაბლობის გამო: „...ხამს დიაცი, დიაცურად, საქმე დედალად, დედსა სისხლსა ვერ შეგაქნევ ვერ ვიწვები შუა კეღლად“ (542). „დიაციურად რად მოვლორდ“ (524,4).

განსრისებული დავარი მოიხსენიებს ნესტანს დიაცად, ცხადია, მისი დამცირების მიზნით. ფაქტისა და ავთანდილის ეპიზოდს უსწრებს სტროფი, რომელშიც დიაციის მუხანათურ ბუნებაზეა საუბარი (უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი შინაარსის გამო სპეცილისტთა ნაწილი ამ სტროფს ჩანართად მიიჩნევს, თუმცაღა გამოცემითა უმრავლესობაში ის შესულია): „სჯობს სიმორე დიაცისა, ვისგან ვითა დითობის, გილიზღებს და შევიკვებებს, მიგინდობს და მოგინდობს, მართ ანაზხად გილატებს, გამკეფს რაცა დესობის, მით დიაცსა სამალავი არასად არ ეთხრობს“ (1092).

„ლეკვი ლომისა სწორია...“ სოციალური თუ ეთიკური კონტექსტი



ფაქტისი საკუთარ საქციელს ასე განსაზღვრავს: „ესე ამბავი მას თანა ვთქვი დიაციურად, ხელურად“ (1221). ავთანდილი ფაქტისის შესახებ: „ისი დიაცი აქა ზის მწაზავი კაცთა მრავალთა, მოსდავურე და მყოვარე მგზავრთა ყოველებნი მავალთა“ (1105)

„თქვა, დიაცსა ვინცა უყვარს გაუქვს და მის ცემს გულსა, აუფი და მოყვება არად მესწონს ყოლა კრულსა, რაცა იცის გაუქვადებს, ხვამიდასა უთხრობს სრულსა, მივობს მივევე, განდა სამე ესცნობ საქმესა დაფარულსა“ (1106).

ქაშნავარი მიმართავს ფაქტისს: „არ ვიძლი დიაცი ფერთა მდამო კრომასა, გამითენდების, განანებ მაგა მოყმისა ყოლასა,“ ქაშთა ხელმწიფე დულარდუბტი მოიხსენიება დიაცად, თუმცაღა იქვე მიიწინებოდა მისი მტკიცე ხასიათი: „დულარდუბტ არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა ლოდი...“ (1255)

ავთანდილის „ანდერძშიც“ ჩანს დიაცი და თან ძალიან საყურადღებო კონტექსტში: „რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა, შემდრკალსა. შემინებულსა და სიკვდილისა მჭეჭელსა, კაცი ჯვანნი რითა სჯობს დიაცსა ქლისა მჭეჭელსა, სჯობს სახელისა მოხეჭვა ყოველსა მოსახეჭელსა“ (799).

ტაეპი „კაცი ჯვანნი რითა სჯობს...“ თავის თავში მოიაზრებს პირველ თეზასაც, რომ თუ კაცი არ არის ჯვანნი, ის თავისი მნიშვნელოვნებით აღემატება ქალის მჭეჭელ ქალს, ეს, ცხადია, გამოირჩევა, ქალისა და კაცის ზოგადი თანასწორობის იდეას. ლომი – სამეფო ნიშანი, ძლიერების სიმბოლო. ქრისტიანული საღვთისმეტყველო სიმბოლიკით ლომს ბინარული სემანტიკა აქვს: პირველი გავებით, ის ქრისტეს სახეს უკავშირდება (გვიამარჯვა ლომმა იუდას ტომიდან“, ლომის სიმბოლო-ალეგორიული მიმართება მაცხოვართან წარმოიქმნება ბასილი დიდის ნაშრომში „სახისა სიტყვანი“, ლომი მარკოზ მახარებლის სიმბოლოცაა და საღვთო წერილებშიც ხშირად კეთილშობილი, განსაკუთრებულად ძლიერი, ძალაუფლების მქონე ადამიანების დასახასიათებლად გამოიყენება (დანიელ 7,4); მეორე მნიშვნელობით ლომი დემონურ ძალს, უხილავ მტერს გულისხმობს, როგორც ეს დასტურდება ფსალმუნში: „ალოღს ჩემ ზედა პირი მათი ვითარცა ლომმან მტაცებელმან და მყვარობამან“ (3, 21, 12); „მისენ მე პირისაგან ლომისა და რქათაგან მარტორქსაგან“ (3, 21, 20)“. „წინა-მოსაჯული თქვენი ეშმაკი ვითარცა ლომი მყვარალი მიმოვალს და ეთიებს ვინმეა შთანთქა“ (1, 10, 6).

„ვეფხისტყაოსანში“ „ლომი“ ერთ-ერთი აქტიური სახელია. არა პირდაპირი, არამედ მხატვრული მნიშვნელობით, ის გამოყენებულია 56-ჯერ სხვადასხვა მხატვრულ სახეში: შედარება, მეტაფორა, ეპითეტი. პროლოგში იგი უკვე ჩანს. საგულისხმოა, რომ 1903 წლის გამოცემამდე, რომელიც განხორციელდა დავით კარიჭაშვილმა, მას განმარტავდნენ, როგორც მაცხოვრის სიმბოლოს. 1903 წლის გამოცემის კომენტარებში ეს სახე დაუკავშირდა დავით სოსლანს და მტკიცედ დამკვიდრდა რუსთაველოლოგიაში. ძალზე მნიშვნელოვანია დადგენა იმისა, თუ ვის უწოდებს რუსთაველი ლომს, რადგანაც ტაეპის „ლეკვი ლომისა სწორია...“ გასაღები სწო-

რედ ლომის მხატვრულ სახეშია. ვინ არის ლომი? მხოლოდ მეფე ან სამეფო ოჯახის წევრი? კონკრეტული სოციალური ფენის აღმნიშვნელი თუ ზოგადი ეთიკურ-ესთეტიკური სახე? საკუთრივ მხატვრული პოემის შინაარსი ცხადყოფს, რომ ლომმა შეიძლება აღნიშნოს მეფეც (მაგალითად, როსტევენი, ფრიდონი, ტარიელი) და არა მეფეც, მაგალითად ავთანდილი, როდესაც ის მხოლოდ და მხოლოდ სპასპეტია. როგორც კი იგი გამოჩნდება, პოემის პირველ-სავე თავში, შედარებულია ლომთან:

„თავსა ზის პირმზე ავთანდილ, მეფრეტთავან მოსანდომია, სპათა სპასპეტი, ჩაუჭი, ვითა ვეფხე და ლომია“. ასევე მას მიემართება ტაეპები: „მუნ დადგა ლომი ავთანდილ“, „რა ფაქტისისა შევიდა ლომი...“ „წავიდა ლომი მის შინას მტყენლად“, „ავთანდილისთვის ლომისა ძღვენი ფრიდონის ქველისა“. როდესაც ტარიელი პირველად ჩნდება მკითხველის თვალსა-წინაშე და იგი „უცხო მოყმეა“, უკვე ლომს უწოდებს რუსთაველი: „შავი ცხენი სადავითა მყვა ლომსა და ვითა გმირსა“.

არც ერთხელ ხატეპის მეფე რამაზს არ უკავშირდება ლომის სახე, თუნდაც მისივე მსახურთა ან მოციქულთა მიერ. იგი ინდოეთის მოლალებზე ქვევედრდომია, იბრძვის თავისი ქვეყნის სუვერენიტეტისთვისა, მაგრამ ბრძოლის მისეული მეთოდები მუხანათურია, რაინდისთვის შეუფერებელია.

ლომი, როგორც პერსონაჟის აღმნიშვნელი მხატვრული სახე, გამოყენებულია „ამირანდარეჯანიანშიც“ და საყურადღებოა, რომ ის მიემართება, როგორც პატრონს, ისე ყმას. „უბრძანა ყმასა მისსა, ინდო ჭაბუკსა მას ლომსა, და უთხრა ყოველი“. „იგი ლომნი – ალი დღელში და ინდო ჭაბუკი...“ - ორივე ყმას. პადრი იამინსიძე, ინდო ჭაბუკის პატრონი, „ლომთა ლომად“ იწოდება. გამოდის, რომ ორივე თხზულების მიხედვით, ლომი არ აღნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ მეფეს ან სამეფო ოჯახის წევრს, ის შეიძლება მიემართებოდეს რაინდაც, პერსონაჟს, რომელიც არის აღმატებული, ძლიერი, მამაცი და ღირსეული. საყურადღებოა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ვაზირები ლომის ცნებას იყენებენ ქალთან მიმართებაში. ესე იგი, სექსობრივი კუთვნილება აქ გადაწყვეტილი არ არის, რაღაც სხვა ფაქტორის ხაზგასმაც ხდება. დავაკვირდეთ კონტექსტს, როდის წარმოიქმნება ისინი „ლეკვი ლომისა სწორია...“

ამ სიტყვებს წინ უსწრებს ტაეპები: „თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღვთისა დანაბადია; არ გათნეუთ, იცის მეფობა, უთქვენიო გეთქვამს კელადია; შუთა მისათურ საქმეცა მისი შზებრ განაცხადია...“

ამ სტროფში ვაზირები თინათინს ახასიათებენ. „თუცა ქალია“ კი მიანიშნებს, რომ მისი გამეფება ჩვეულებრივი ამბავი სულაც არა არის. ტაეპში სიტყვა-სიტყვით ნათქვამია: მიუხედავად იმისა, რომ ქალია, ხელმწიფედ დაბადა ღმერთმა. შენ-სადედა მამა ქალის ორგანიზაცია: 1. ხელმწიფედ დაიბადა, ვითარცა შენი ერთადერთი მემკვიდრე. თუ მეფის შვილობა, მიუხედავად იმისა, მემკვიდრე ქალია თუ ვაჟი, მომავალ მეფობას უპირობდ გულისხმობს, რაღა საქორი იყო საგანგებო თათბირი, ან აღნიშნა იმისა, რომ „თუცა ქალია“, ან დარდი მეფისა: „ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, – ვარ სანუთროსა თმობითა.“

ამ ტაეპის მეორე და, ჩვენი აზრით, უფრო საგულისხმო შინაარსია: თინათინი თავისი პიროვნებით, მონოლითური, ძლიერი ხასიათით, სიბრძნით, სამართლიანობით ... მეფეა, მეფურია, ხელმწიფედ დაბადა ღმერთმა. მართლაც, ვაზირები სწორედ ამის ღირსებასა და მეფობის მზობისა უსვამენ ხაზს: „არ გათნეუთ, იცის მეფობა, უთქვენიო გეთქვამს, კელა დია, შუთა მისათურ საქმეცა მისი შზებრ განაცხადია“.

ამას მოსდევს ერთგვარი დასკვნითი ხასიათის მეტაფორული აფორიზმი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხუადია“. თუ ლომი ძლიერ, კეთილშობილ, გამორჩეულ, მეფური თვისებების მქონე ადამიანს გულისხმობს, მაშინ ლეკვი, როგორც მომავალი ლომი, ეწოდება მემკვიდრეს, თუ ის ამ ღირსებათა მატარებელია, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა აქვს, ქალია თუ ვაჟი. აქ აქცენტირებულია პიროვნული რანგი (ან არსებითი, თვისებრივი მსგავსება მშობელთან) და არა სქესი. ამ მეტაფორას ერთგვარად ესადაგება რუსთაველის მიერ სხვა ეპიზოდში ნათქვამი: „მსგავსი ყველი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“ (1323,4) გამოდის, რომ ვაზირები მეფეს ეუბნებიან: თინათინი შენი არა მხოლოდ ბიოლოგიური მემკვიდრეა, არამედ ღირსებათა მემკვიდრეც არის. შენი მსგავსია. სწორედ ამ ნიშნით თანაბარია ის მამაკაცთან.

ამას მოსდევს ორბელიანის პერსონაჟი ფუმბერი („სიბრძნე სიცრულსა“) ამბობს: „კარგის წერვის ხილი ვარ“. „კარგი წერვი“ აქ იმავ მხატვრული ფუნქციითაა მოხმობილი, რომლითაც „ლომი“ რუსთაველის ტაეპში. „ლეკვი ლომისა სწორია...“ შინაარსობრივად ახლოა ქართულ ანდაზასთან: „ქორი ქორსა სწევს და ქორ ძერუქასო“ (ესე იგი, ქორის შვილი ქორია, ამავე ლოგიკით, ლომის ლეკვი ლომია, მიუხედავად იმისა, ძუა თუ ხუად).

საინტერესოა, როგორ, რა ანალოგიით განმარტა ილია ჭავჭავაძე ეს ტაეპი:

„ლეკვი ლომის სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხუადიაო“, უთქვამს რუსთაველს. ლომი ლომია, ერთია, – ძუ იყოს, თუნდა ხუადიაო, ამბობს დღესაც გლეხკაცი. მართალია, სწორია, ამას შიშობს ჩვენი ქართული ენაც და ენა ხომ ერთობ იმისთან რამ არის, რომ მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც კაცი ჩასძახებს. ქართველი დედსაც კაცად ჰხადის და ამიტომ „დედა-კაცს“ ეძახის, როგორც მამას – „მამა-კაცს“. განსხვავება მარტო იმაშია, რომ თქვენ ერთი სქესი ხართ და ჩვენ მეორისანი, თქვენ დედობით ხართ კაცნი და ჩვენ მამობით. არსებობს ერთია, ორნივე კაცნი ვართ, ორნივე დედის სახისა და მსგავსებისანი. ასე შეუნახავს დიდი დიდსა დედისა ჩვენს ენას. არა გვევლინა რომელსავე სხვა ენაში ღირსაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებულიყო“ („პატარა საუბარი“, „ივერია“, 1898 წელი).

როგორც ვხედავთ, ილია რუსთაველის ტაეპის შინაარსს უკავშირებს ენაში შემონახული ღრმა საზრისის ცნებათა – მამაკაცისა და დედაკაცის – ურთიერთმიმართებას. ორივე კაცია, დედაკაციც და მამაკაციც, ამაში ჩანს მათი არსობრივი ერთობა – ხატობა დედობისა.

ზემიტოპულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მეტი საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ტაეპი, „ლეკვი ლომის სწორია, ძუ იყოს თუნდა ხუადია“, მოიაზრებოდეს არა გენდერული თანასწორობის იდეის შემცველად, ან მეფის შვილების თანაბარუფლებიანობის ხაზგასმად, არამედ ეთიკური კონტექსტის მქონე მეტაფორად, რომელიც განზოგადებულია იდეა: ლომის (კეთილშობილი, გამორჩეული, ღირსეული პიროვნების) ლეკვი (ღირსებათა მემკვიდრე) ლომია, მიუხედავად იმისა, ძუ (ქალი) არის თუ ხუადი (ვაჟი).

ლია კარიჭაშვილი,

ფილოლოგიის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთაველოლოგიის კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი

გიორგი სააკაძე XVI - ის ბოლოსა და XVII-ის პირველი ნახევრის უდიდესი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე იყო. მის მსოფლიო დონის საბრძოლო ხელოვნებას დღესაც აღტაცებაში მოჰყავს მკვლევარები, ისტორიკოსები, პოლიტოლოგები. არც ერთ ქართველ გამორჩეულ პიროვნებაზე იმდენი არ დანერგა და თქმულა, ჩვენშიც და საზღვარგარეთაც, რამდენიც საქართველოს ეროვნულ გმირზე – გიორგი სააკაძეზე, დიდ მოურავად წოდებულზე. მასზე დღესაც წერს როგორც ქართული, ისე უცხოური მედია.

ძველი თუ ახალი თაობის გამოჩენილი ისტორიოგრაფები, ცნობილი ამერიკელი და ევროპელი მკვლევარები, წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები თუ პოლიტოლოგები: მარი ბროსი, ალენი, ლანგი, ვილჰელმ ფლურე, ედმუნდ ჰერციგი, დონალდ რიეფოლდი, მარი სპუმი, დევიდ ბლოუ, რონალდ გრიგორ სუნი, კიტ ჰინისი, როჯერ სეივორი, ჯორჯიო როტა, პიოტრ ჩმიელი, რუდოლფ მათეი, კეროლან ფინკელი, ჰიროტაკე მაედა და სხვ. ისინი ერთხმად

მუსულმან ხელისუფალთა მხრიდან (მაგალითად, ეხმარება იტალიელებს, ფრანგებს...), ამასთან იგი ინტერესდება რომის პაპის ურბან VIII-ის პიროვნების მიმართ და კეთილად არის მისდამი განწყობილი.

დიდი მოურავი ევროპელ მისიონერთა და დიპლომატთა დახმარებით დეტალურად ეცნობა ევროპის ქვეყნების სახელმწიფო მოწყობის წესს, მათ სამხედრო შეიარაღების თავისებურებებს, მმართველობის სისტემებს, ეკონომიკური განვითარების პრინციპებს. ის ცდილობს, ევროპული სახელმწიფოს მართვის მოდელი და სამოქალაქო კანონმდებლობა საქართველოში გადმოიტანოს და დანერგოს.

გიორგი სააკაძე პროგრესულად მოაზროვნე ევროპელის დარად იქცევა და მუსულმანურ სამყაროში ჩავარდნილი, მისი ფენომენალური ნიჭისა და მოხერხებულობის წყალობით, ინარჩუნებს ქრისტიანობას, არის უაღრესად გულისხმიერი და კეთილგანწყობილი ევროპელი მისიონერებისა და დიპლომატების მიმართ, რაც, თავის

1614-1615 წლებს, როცა დიდ მოურავს ახასიათებენ, როგორც უძლიერეს ქართველ მხედართმთავარს, რომელსაც ანგარიშს უწევდა მისი ეპოქის ირანის სეფიანთა და ოსმალეთის ოტომანთა ორი უდიდესი იმპერია (არქიტექტურული კულტურა აღმოსავლეთის თეატინელთა ორდენის მისიგმში და გუარინო გუარინის არქიტექტურა; 2017, იტალია, ენაზე); გუარინო გუარინი იყო მე-17 საუკუნის გამოჩენილი არქიტექტორი, მათემატიკოსი და თეოლოგი, თეატინელთა ორდენის მისიონერთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

უცხოელი მისიონერები, მოგზაურები, დიპლომატები, ერთხმად აღნიშნავენ, რომ სწორედ გიორგი სააკაძის და მისი დარი მამულიშვილების მძლავრი მარჯვენის წყალობით, საქართველოს მოსიხსლე მტრებმა – თურქებმა და სპარსელებმა, ვერ შეძლეს არა მარტო ივერიის, არამედ მთლიანად კავკასიის დაპყრობა, რადგანაც ამ დროს დღევანდელი აზერბაიჯანი ერთ-ერთი სახანოს სახით შედიოდა სეფიანთა ირანის შემადგენლობაში, ხოლო სომხეთი, რო-

გიორგი სააკაძის ევროპული ოპიანიანობა



გიორგი სააკაძის სურათზე

ცალკერძ შენა ხარ და შენს პირდაპირ მეორე სახე მე მეხატება შენი ქვეყნისა – საქართველოსი. რამდენი ფიქრი მწვავეს, მეზადება: თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები რად გვებადება? შვილის სიკეთე მშობელს შემურდეს, ნამდვილს მშობელსა ეს ეკადრება?! ცრემლები მალრჩობს, ველარას ვამბობ; კარგის დაღუპვა რად გვენატრება ჩვენის შვილისა, ჩვენივე ძმისა? ველარას ვიტყვი, ვთრთი, მეხათრება. ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ, არ გეკადრება, არ გეკადრება!..

ვაჟა-ფშაველა

აღნიშნავენ, რომ გიორგი სააკაძე იყო ანტიმაჰმადიანური კოალიციის მეთაური კავკასიაში, რომ მისმა თავგანწირულმა ბრძოლამ, ირანის შაჰთან მიმართული დამოუკიდებელი მისი შვილის სიცოცხლის საფასურად, 1625 წ. 7 აპრილს, მარტყოფის ველზე, გრანდიოზული გამარჯვებით იხსნა აღმოსავლეთ საქართველო გამაჰმადიანებისაგან და გადასვენებისაგან, ხოლო დიდი მოურავის 1625-1626 წლებში შაჰ-აბასის წინააღმდეგ უმაღლესი სამხედრო ხელოვნებით ჩატარებულ ბრძოლაში, ყიზილბაშთა რჩეული არმიის 70 000-მდე ირანელი ჯარისკაცი განადგურა, რითაც იხსნა კავკასია ირანულ-შიიტური ექსპანსიისაგან.

ასევე აღსანიშნავია დიდი მოურავის უფრო ადრეული, კერძოდ, 1609 წლის ზაფხულის დასაწყისში მოგებული სხერტა-ტაშისკარის ომები, ოსმალეთ-თათარხანთა 60-ათასიანი ლაშქრის წინააღმდეგ, საიდანაც მხოლოდ თურქთა რამდენიმე ათეული ჯარისკაცი გადარჩა.

ზემოთ მოყვანილმა უმნიშვნელოვანესმა საბრძოლო გამარჯვებებმა დიდ მოურავს უდიდესი სახელი და პოპულარობა მოუტანა არა მარტო სამშობლოში – საქართველოში, არამედ მთელს მცირე აზიაში და, განსაკუთრებით, ევროპულ მისიონერებსა და დიპლომატებს შორის.

გიორგი სააკაძეს თავისი სამხედრო პოლიტიკური მოღვაწეობის 35-წლიანი პერიოდის განმავლობაში ბევრ მისიონერთან, სახელმწიფოს უმაღლესი რანგის პირებთან, დიპლომატებთან და უცხოელ საეკლესიო მოღვაწეებთან ჰქონდა შეხება. იგი წლების განმავლობაში ურთიერთობდა როგორც ქართლ-კახეთის სამეფო კართან, ასევე, 1612-1629 წლებში, ირან-ოსმალეთის სამეფო კარის მალა მოხელეებთან, მათ შორის შაჰთან და სულთანთან.

თუ განვიხილავთ გიორგი სააკაძის მოღვაწეობას პოლიტიკური ორიენტაციის კუთხით, რაც, სამწუხაროდ, დღემდე ასეთ-ნაირად არავის განუხილავია, დაინახავთ, რომ იგი, ცალსახად, ევროპული ორიენტაციის არის და ეჭვის თვალთა უწყობებს 1600 წლიდან დაწყებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, რადგანაც ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია ერთმორწმუნე ივერიისათვის.

სპარსეთში შაჰის სამეფო კარზე გადახვეწილი სააკაძე, მხოლოდ გარეგნულად ატარებს მაჰმადიანობას, თორემ, შინაგანად, იგი ქრისტიანია და ევროპელ დიპლომატებთან და მისიონერებთან ერთად, რომლებიც 1615 - 1625 წლებში მრავლად იმყოფებოდნენ შაჰის კარზე, დადის სეფიანთა ირანში არსებულ კათოლიკურ ეკლესიებში სალოცავად, რადგანაც, სამწუხაროდ, არცერთი მართლმადიდებლური ტაძარი არ არსებობდა სპარსეთში, ხოლო სომხურ ეკლესიაში შესვლის კატეგორიული წინააღმდეგე იყო, როგორც ამას ფეხშიშვალ კარმელიტების ორდენის წარმომადგენელი მამები აღნიშნავენ.

შაჰ - აბასის თუ თურქეთის სულთნის კარზე მყოფი გიორგი სააკაძე მეგობრობს მხოლოდ ევროპულ მისიონერებთან და დიპლომატებთან, დახმარების ხელს უწვდის მათ, როცა ისინი გაჭირვებაში არიან ჩავარდნილები და სიკვდილის საფრთხე ემუქრებათ

მხრივ, მტკიცდება თვით სეფიანთა ირანსა და ოსმალეთში მოღვაწე ისეთი გამოჩენილი ევროპელი პიროვნებების წერილებით და აღწერილობებით, როგორებიც არიან: დონ ქრისტოფორო დე კასტელი, პიეტრო დელა ვალე, პიეტრო ავია ტაბალე, მამა ამბროჯიო დუშ ანჟუში, სწავლული ბერი ხური დონ მიქელე მოსკო, ბ. ფერო, ჯიოვანი ტადეო დე სან ელიზეო, კარმელიტი მამა ვინცენტო ჰურ-მუზი, არქანჯელო ლამბერტი, პიეტრო გრიტი (ალეპოს ვენეციელი კონსული ოსმალეთის იმპერიაში, გიორგი სააკაძის გარდაცვალების მომსწრე და ამ ამბის ცნობების ერთ-ერთი აღმწერილი) და სხვ.

უფრო მოგვიანებით კი გიორგი სააკაძეზე დადებითად წერს ასევე ბელგიურ დუშ ანჟუში, შარდენი, იოზეფ ფონ ჰამერ პურგშტალი და სხვანი.

ზაზგასასმელია, რომ გიორგი სააკაძე 1627-1629 წლებში, თურქეთში (კონსტანტინეპოლში) ყოფნისას, უცხოელ დიპლომატებს, მისიონერებს, ვაჭრებს თავს აცნობს საქართველოს ელჩად, მეფე თეიმურაზ I-ის დიპლომატიურ წარმომადგენლად, რასაც, სხვათაშორის, თვით თეიმურაზ I-იც ადასტურებს. ისტორიულ წყაროთა თანახმად (მაგალითად, მოსკოვში რუსეთთან მოლაპარაკებების დროს).

მოვიყვანოთ ციტირება, რაც სიახლეა ქართული ისტორიოგრაფიისათვის: მისიონერი პიეტრო ფოსკარინი პიეტრო ჩმიელის ნაწარმოებში დამოუკიდებელი ამბობს („ქართული პოლიტიკური ხედევა ვენეციურ დიპლომატიურ დოკუმენტებში 1573-1645 წწ.“; გვ. 97-109, პოლონეთი, ვარშავა, 2017 წ.); „ალეპოში 1629 წელს დიდებულ ქართველ თავადს, მამაც მებრძოლს თავი მოკეთეს, როგორც აჯანყების მოთავეს... სავარაუდოდ, ფაშა მაგრულ, ანუ გიორგი სააკაძეზე საუბარია“. ასევე მისიონერი კონტარინი (1612 წ.) წერს, რომ „გიორგი სააკაძე, ანუ მაჟორი, ის ცნობილი ქართველი მთავარსარდალია, რომელმაც ხუან ფერნანდეს პაჩეკოს შვილის – პრინც ესკალიონივით იძულებულ შეიქმნა ფორმალურად მიეღო მუსულმანობა, ხოლო ქრისტიანობისთვის არასოდეს არ უღალატნიაო... ქართველები საოცარი ხალხია ნამდვილი ე.წ. „ქრისტოტორსტიანები“, ანუ ეს სიტყვა ნიშნავს ადამიანებს, რომელთაც საიდუმლოდ შეუწახავთ ქრისტიანობა და არ უარუყვით თავიანთი ქრისტეს სჯულისთვის...“

საყურადღებოა გიორგი სააკაძის ტრადიციული აღსასრულის შემდეგ მისი იერუსალიმში, წმინდა მინაზე, ჯვრის მონასტერში, დაკრძალვის ვერსიაც, რომლის ოსმალეთიდან გადასვენებასაც ევროპულ მისიონერებს უკავშირებენ, ხოლო ერთ-ერთი ცნობით, დიდი მოურავი კონსტანტინეპოლის ბერძნულ კვარტალში არსებულ 12 მოციქულის სახელობის ეკლესიის გვერდით, საიმპერატორო სასაფლაოზეა დაკრძალული, რომელიც მომავალში ასევე კვლევის საგანი უნდა გახდეს.

სწორედ ევროპელი მისიონერები, რომლებმაც პირველბა შეაფასეს გიორგი სააკაძის, როგორც პროგრესულად მოაზროვნის ნიჭი და დამსახურება, ადარებენ მას, თავისი დრამატული ბედით, ევროპელ გენერალსიმუსს და ფლოტის ადმირალს, გამოჩენილ მთავარსარდალს და ჰერცოგს – ალბრეხტ ვენცელის სცებუს ფონ ვალდ შტაინს (ვალენშტაინს), რომელიც მოღვაწეობდა გიორგი სააკაძის პერიოდში ევროპაში, იგი წარმოშობით ჩეხი იყო, ბოჰემიის მხარიდან.

იტალიურ თეატინელთა წყაროებში წერენ გიორგი სააკაძეზე, როგორც ქართლის დიდ რეგენტზე (1619-1625 წწ.) და აღნიშნავენ

გორც სახელმწიფო, უკვე აღარ არსებობდა. აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან შაჰ-აბასის მიერ 400 000-მდე მოსახლე იქნა აყრილი და გადასახლებული ირანის პერიფერიებში. ვერაგმა შაჰ-აბასმა მსგავსი შემზარავი ფაქტი 1616 - 1620 წლებში, აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთში განახორციელა.

როგორც კასტელი აღნიშნავს, გიორგი სააკაძეს გარეშე მტრების მოგერიების საქმეში, მხოლოდ ევროპული სახელმწიფოები ესახებოდა. მისი აზრით, ევროპელები ქრისტიანული მოტივით სამხედრო დახმარებას გაუწევდნენ პოლიტიკურად და ეკონომიურად გაჭირვებულ, მტრებისგან დაქანცულ საქართველოს.

თურქეთში ჩასულმა სააკაძემ გეზი პირდაპირ ევროპისკენ აიღო. იგი დაუკავშირდა კონსტანტინეპოლიდან ვენეციის სენატს, რამეთუ, ცდილობდა ვენეციის რესპუბლიკის ძალების გამოყენებას თურქეთის წინააღმდეგ.

იმდროინდელი ყველა ევროპული წყარო ერთხმად აღნიშნავს გიორგი სააკაძის დიდ მხედართმთავრულ ნიჭს, სამხედრო სტრატეგიულ შორსმჭვრეტელობას, გონიერებას და ფიზიკურ ძალას. ამასთან, ყველა უცხოელი ავტორი ხაზს უსვამს დიდი მოურავის ტრაგიკულ ბედს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროპელი მისიონერები და დიპლომატები, სეფიანთა ირანისა და თურქეთის სამეფო კარზე მყოფი იტალიელები, ფრანგები, ინგლისელები, ესპანელები, პორტუგალიელები, პოლანდიელები, გერმანელები და ა. შ. ერთხმად აღნიშნავენ, რომ გიორგი სააკაძე დაინტერესებული იყო ევროპით, სთხოვდა მათ მეფეებსა და რომის პაპს ურბან VIII-ს, სამხედრო დახმარების ხელი გაეწოდებინათ პატარა, მაგრამ უძველესი ქრისტიანული ქართული სახელმწიფოსათვის.

დიდი მოურავი გამოდიოდა ინიციატორად, რომ შექმნილიყო საქართველოსა და ევროპის ანტიმაჰმადიანური (ანტიოსმალური და ანტიირანული) კოალიცია, რომლის პლაცდარმი კავკასიაში საქართველო იქნებოდა. ევროპა - საქართველო კი, მისი რწმენით, ერთობლივი ძალით შეძლებდა მუსულმანური ტალღის შეჩერებას, რომელიც უკვე ევროპის კონტინენტსაც აზანზარებდა და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც ბოჰოქრობდა, რაც საშუალებას მისცემდა ევროპის ქვეყნებს აბრეშუმი, ლენი და სხვა ნედლეული საქართველოზე გამავალი სავაჭრო უმოკლესი გზებით მიზნობრივად დასაგეგმოსათვის.

გიორგი სააკაძის გამოჩენილი პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიური თვალსაზრისი იყო აშკარად პროევროპული. თვით ყველაზე თვალსაზრისით მაგალითი მოგებული ომებისა, ევროპულ საბრძოლო დაგეგმვის სისტემას ემყარება, რასაც ერთხმად აღნიშნავენ, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სამხედრო ექსპერტები.

სამწუხაროდ, გიორგი სააკაძის ამ ნოვატორულ აზროვნებას წინ ეღობებოდა ქართლ-კახეთის კონსერვატიულიდ მოაზროვნე ამპარტყავან ფეოდალთა ფენა და ირან-ოსმალეთის მძლავრი აგენტურული ქსელი, ხოლო ევროპელთა მხრიდან გულგრილი დამოკიდებულება და პოლიტიკურ სიტუაციათა და ისტორიულ მოვლენათა ზერევე შეფასება.

ამასთან, ამ პერიოდში, თვით ევროპულ სახელმწიფოებს, შიდა პრობლემები ჰქონდათ მოსაგვარებელი, რაც ხელს უშლიდა სწორი საგარეო პოლიტიკის აქცენტების გაკეთებაში. გიორგი სააკაძეს კი სურდა ჯერ სეფიანთა ირანის, ხოლო შემდეგ ოსმალური ძალის გამოყენებით და ევროპელების დახმარებით გაეერთიანებინა საქართველო დავით აღმაშენებლის დარად და ევროპული ოჯახის წევრი გაეხადა იგი, რაც საუბედუროდ, სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზთა გამო, 1629 წელს, თახათის ციხეში, დიდი მოურავის ვერავალი სიკვდილით დასრულდა.

ვაჟა ოთარაშვილი,
პოეტი, პუბლიცისტი, მკვლევარი

ეპა კვანტალიანი,
გიორგი სააკაძის ფენომენის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე

P.S. აღნიშნულმა გამოკვლევამ იუნესკოს საერთაშორისო კონფერენციაც შეიძლება დიდი ინტერესი გამოიწვიოს და სერტიფიკატი დაიმსახურა.

ნათო ყრუაშვილი

მუსხი ერთ-ერთი უძველესი და მდიდარი ნარსულის მქონე სოფელია სამხრეთ საქართველოში – სამცხეში. მისი ისტორია განუყოფელია მესხეთის ისტორიისაგან. სოფელ მუსხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მრავალ ჭირ-ვარამ გამოვიწლია. მტერთა შემოსევების გამო, სხვადასხვა დროს, რამდენჯერმე განადგურდა, მაგრამ სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე ისევ აშენდა და აღორძინდა. ამაზე მეტყველებს ნასოფლარების – „ძველა მუსხი“, „მზეფენია“, „ფულა“, „ახტილა“, „თელვანა“ – არსებობა. მას, მესხეთის სხვა სოფლების მსგავსად, მოუხდა თურქთა ბატონობის მიმე უღლის ტარება, რომლისგანაც 1828 წლის ზაფხულში განთავისუფლდა. თურქთა ხანგრძლივი ბატონობის მიუხედავად მოსახლეობამ შეინარჩუნა ენაც და სარწმუნოებაც.

XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, მას შემდეგ რაც სამცხე-ჯავახეთი განთავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან და შეუერთდა საქართველოს, იგი იმავდროულად აღმოჩნდა მეორე დამპყრობლის – რუსეთის ხელში, რომელმაც იმ-თავითვე დაიწყო რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელება. მის მიზანს ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარება წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, როგორც მთელი ქართველი ერო-სათვის, ისე მუსხისათვის, ეპოქის მოთხოვნად იქცა ქართველობის შენარჩუნება. რეალური საფრთხე შეექმნა ყოველივე ეროვნულს – ქართულ ენას, წესს, ჩვეულებას, ტრადიციას. აქედან გამომდინარე, ეპოქის უპირველეს მოთხოვნად იქცა მოსახლე-ობაში განათლების შეტანა და მისი კულტურული დაზინაობა.

სამცხე-ჯავახეთში განათლების გავრცელების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს XIX საუკუნეში დაფუძნებულმა საქველმოქმედო საზოგადოებებმა. განსაკუთრებით განუზომელი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი“ და „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი“ საზოგადოებების დასახელება. 1870-იანი წლების დასაწყისში „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მიერ ერთკლასიანი (სამწლიანი სწავლებით) დაწყებითი „ახსახლო სკოლები“ დაარსდა ბარალეთში 41 მოსწავლით, საროში – 12 მოსწავლით, ქილდაში – 27 მოსწავლით, ტოლოში – 11 მოსწავლით და მუსხში – 12 მოსწავლით (ყოფილი, „განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში“, გვ.36, 1986).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში, ქართული სკოლის გახსნა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა და, ამასთანავე, დაკავშირებული იყო უამრავ სიძ-ნელესთან. არც ერთი ქართული სკოლა, რაც არ უნდა პანაწიკნებდა იყოს, არ შეიძლება გაიხსნას, თუ მას არ წაფუძვლავრთ წინ გრძელი ფორმალური მიწერ-მოწერა მთავრობასთან და არ მიიღო უკუ-ნასკნელის ნებართვა, რომელსაც იშვიათად ეღი-რებოდა. არც ერთ სკოლაში სწავლა არ შეიძლება მოიმართოს თუ არა ადმინისტრაციისაგან დამტკიცებული პროგრამით. რუსული ენა საფუძვლად საგნად ითვლებოდა და უსათუოდ პირველი წლიდანვე უნდა დაიწყონ მისი შესწავლა, თუ არა და სკოლას უსათუოდ ანდერძის აგება და დამარხვა მოეწი-ს (კვანჭავაძე ი., რწ. თბზ. (ხუთ ტომად), ტ. 1, გვ. 169, 261, 371, თბ., 1989) –წერდა იაკობ გოგებაშვილი. იაკობ გოგებაშვილის ეს სიტყვები კიდევ ერთ-ხელ გვარწმუნებს იმაში, თუ რაოდენ დიდი შრომა სჭირდებოდა საზოგადოებას თითოეული სკოლის დაარსებისათვის.


მუსხის სკოლა სამცხე-ჯავახეთში არსებული სკოლებიდან ერთ-ერთი უძველესია. მას თითქმის საუკუნუნახევრის ისტორია აქვს, რომელიც, პირობითად, შეიძლება ორ პერიოდად დაიყოს: დაარსე-ბიდან – 1871 წლიდან 1919 წლამდე და 1924 წლი-დან დღემდე.

წარმოდგენილ წერილში ვვინდა ყურადღება შევამჩროთ დასახელებული სკოლის არსებობის მხოლოდ პირველ პერიოდზე.

სკოლა წარმოადგენდა ერთკლასიან სასწავლე-ბელს, სადაც ასწავლიდნენ დედა-ენას, ანგარიშს, რუსულ ენას, საღმრთო სჯულს, ბუნების კარს. სკოლის არსებობის პირველ პერიოდში მოსწავლე-თა სტატისტიკა ასეთია: 1871 წელს იყო 12, 1894 წელს – 25, 1914 წელს – 42. ქართულ პერიოდიკაში დაცული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ მუს-ხის სკოლას დროდრო სახელმძღვანელოებით ამარაგებდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი“ საზოგადოება. საზოგადოებამ 1880 წელს 500-მდე წიგნი გამოუგზავნა ახალციხის რამდენიმე სკოლას, მათ შორის მუსხის სკოლასაც. მოგვიანებით, ვასილ კობტონაშვილის მოთხოვნით, საზოგადოების გამგეობამ ახალციხის სამრევლო სკოლებისთვის და, მათ შორის, მუსხის სკოლისთ-ვისაც, გაგზავნა 50 ცალი „დედა ენა“ და 20 ცალი „რუსსკოე სლოვი“.

როდესაც საუბარი მუსხის სკოლის ისტორიას შეეხება, შეუძლებელია არ გავიხსენოთ ვასილ კობ-ტონაშვილის განსაკუთრებული წვლილი, რომელ-მაც თავისი მოღვაწეობით დიდი სამსახური გაუწია ამ სოფელს. იგი იყო: სახალხო სკოლის მასწავლებ-ლი, დეკანოზი, ფოლკლორისტი, კორესპონდენტი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე. იგი 1889 წელს მშობლიურ კუთხეში დაბრუნდა. ამ დროისათვის მას უკვე ჰქონდა პროფესორული გამოცდილება.

ქართველი ინტელიგენცია მას კარგად იცნობდა, ამიტომ იგი ახალციხის მაზრის სოფელ მუსხის სკო-ლაში განამწესეს მასწავლებლად. დამ ფაქტს თავის დროზე გამოეხმაურა ვახუთი „ივერია“: „ახალცი-ხის მაზრაში, სოფელ მუსხში, ქრისტიანობის აღმდ-გენელმა საზოგადოებამ დააარსა სკოლა. სკოლის მასწავლებლად დაინიშნა ნიჭიერი ახალგაზრდა ვასილ კობტონაშვილი. „ივერის“ მკითხველები და მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობენ ჯავახეთის მამწიდულ მიწურულებს სოფელში დაბ-ადებულსა და გაზრდილ გლეხ-ჭაბუკს, რომელიც საზოგადოებრივი მოღვაწეობის კეთილშობილურ




ვასილ კობტონაშვილი

წელს სოფელ მუსხში ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაფუძნდა. იგი ვახუთ „ივერის“ კორესპონდენ-ციით იტყობინებოდა: „სოფელ მუსხის სკოლასთან ნიგნოსაცავი უკვე დაარსდა და აქეთ-იქედან კიდევ დაგვებმარნენ თუ ნიგნებთი, თუ ფულით, იმედ-მაცეს სხეებზე არ დაიპირებთ თავიანთ წვლილს ამ ფრიად კეთილ საქმისათვის. მეტადრე საყმაწვილო ნიგნებს ენაფებიან ბავშვები, მოთხორობი და წმინ-დანების ცხოვრება მოსწონთ უფრო დიდრონებს. ვერ-ჯერობით იმოდენ ღონისძიება არა გვაქვს, რომ ყველას სურვილი შევასრულოთ და შესაფერი წიგნი მივაწოდოთ“.

ვასილ კობტონაშვილი თავის პედაგოგიურ საქმიანობას უთავსებდა ბიბლიოთეკაზე ზრუნვას და დაულალავად იღწვოდა მის გაუმჯობესებაზე. ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისთვის მან სპეცი-ალურად მოითხოვა ოთახების მიშენება, რისთვის-საც დახმარების თხოვნით მიმართა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-დოებას“, რომელიც დიდ ყურადღებას იჩენდა და უფასოდ უგზავნიდა წიგნებს (ს.ჯ.ი.მ. ი.მ.გ. N184, „ახალციხის მოჭირნახლე მუსხი“). როგორც ვახუთ „ივერიაში“ დაბეჭდილი კორესპონდენციებიდან ჩანს, მას დიდი ინიციატივა გამოუჩენია ბიბლიოთე-კის საქმიანობაში ადგილობრივი საზოგადოების დიდი ნაწილის ჩასართავად. ამიტომაც იგი სახე-ლობით მოახსენებდა მადლობას ფულითა და წიგ-ნებით დახმარებისათვის. 1894 წელს ვახუთ „ივე-რის“ რამდენიმე ნომერში (N 77, 84, 126) საგანგუ-ზოდ დაბეჭდა „წერილი რედაქციის მიმართ“ (ვახ. „ივერია“ N 77, 84, 126, 1894 წ.), სადაც დაასახელა ის ქველმოქმედი პიროვნებები, რომლებმაც მამუ-ლოშვილურ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს. მათ შორის იყვნენ მასწავლებლები: გრიგოლ ბურ-ჭულაზე, იაკობ ზედგინიძე და ალექსი მიქელაძე, გენერალ-მაიორი ალექსანდრე მუსხელიშვილი, მომრიგებელ-მოსამართლე დეკანოზოვი, დეკანო-

მუსხის სკოლა – განათლების უკვე დაარსებული ქართული სახეა



ნან. მინ. იაძისა

გზას დაადა და მიზნად თავისი ბუნაგი, ჩამორჩენილი კუთხისათვის სარგებლობის მოტანა დაისახა. ჯერ კიდევ 1888 წლიდან მან საინ-ტერესო კორესპონდენციების გა-მოქვეყნება დაიწყო ვახუთის ფურ-ცლებზე. მისი სტატიები მრავალ საკითხს ეხებოდა, უმთავრესად კი, ხალხის სადღეისო ჭირ-ვარამს, მის ყოფა-ცხოვრებასა და ისტორიულ წარსულს, მის ძველისძველ ადათ-ნესებსა და ცრუმორწმუნეობას, ხალხის მეტყველებასა და შემოქ-მედებას (ვახუთი „ივერია“, N130, 1890).

როგორც ითქვა, მუსხის სამ-რევლო სკოლა ერთ-ერთი უძვე-ლესი სკოლა იყო ამ კუთხეში არ-სებულ სკოლათა შორის. სოფელ მუსხის სკოლაში მან თითქმის ექვ-სი წელი იმუშავა, თუმცა საკმარი-სად არ მიაჩნდა მხოლოდ მოზარდების განათლება. ფიქრობდა, რომ განათლება უნდა გავრცელებუ-ლიყო სოფლის მოსახლეობაში. სოფელ მუსხში მისი მოღვაწეობა იმიტად იყო მნიშვნელოვანი, რომ უდიდესი მზრუნველობა გამოიჩინა უფროსი ასაკის ადამიანების მიმართ. კერძოდ, ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი სკოლასთან სოფლის ბიბლი-ოთეკა-სამკითხველოს დაარსებისა. მის ერთ-ერთ კორესპონდენციებში ვკითხულობთ: „სოფელ მუსხის სკოლასთან ჩვენ ვკავშირდებით დავაარსოთ სა-ხალხო სამკითხველო-ნიგნოსაცავი, სადაც შეუძ-ლიან ხალხმა თავი მოიყაროს კვირა-უქმე დღეს და წიგნები იკითხოს“ (ვახ. „ივერია“, N59, 1894, ვ. კობტონაშვილი, „წერილი მუსხეთიდან“). ვასილ კობტონაშვილი ფიქრობდა, რომ სამკითხველო არამარტო მოწაფეთ, არამედ სოფლის მოსახლე-ობასაც მოემსახურებოდა. ასევე დიდ სამსახურს გაუწევდა „სკოლებიდან გასულ შემოღობებს“, რომ-ლებსაც მიეცემოდათ ყურნალ-გაზრდების კითხ-ვის საშუალება და აღარ დაევიწყებოდათ ის, რაც სამი-ოთხი წლის განმავლობაში შეიძინეს. მისი აზრით, სამკითხველო ასევე კარგ გავლენას მოახ-დენდა მოსახლეობის ცხოვრების წესზეც: „სამკით-ხველო რომ ექმნება ჩვენს ხალხს და კვირა-უქმე დღეს წიგნების კითხვაში იქნება, სოფლის ოღებში, ერდო-ბანებზედ უსაფუძვლო და უსარგებლო ყაყა-ნი, ხუმრობა ლაზლანდარობა და ამისთანა უსარ-გებლო გართობა მოისპობა. ხალხი დანაწევდება, გამოფხიზდება, გულისმამში ჩაჯერდება...“ (ივე). ვასილ კობტონაშვილის ძალიანმეტი 1894

ბასა და ვასილ მოხდას (ს.ჯ.ი.მ. ნათენის არქივი, N376, ტოლოში სკოლის ისტორიიდან). გლეხებს არ ესმოდათ სწავლის სიკეთე. თავიანთ შვილებში მხოლოდ მუშახელს ხედავდნენ და არ უნდოდათ მოეცინათ შრომისათვის. შვილების განათლების საკითხთან დაკავშირებით, ერთმანეთს უყურებდ-ნენ. – „უჩიტლო“, რალა მე დამინახე, მარტო მე ხომ არა მყავს შვილები. აიგერ, სხვასაც ბევრი ჰყავს, ისინი თუ გამოგზავნიან, მეც გამოგზავნი, თუ არა და, არც მე გამოგზავნი, მარტო ჩემი ვალია?“ – ასე პასუხობდნენ მასწავლებლებს, რომლებიც ურჩევდნენ, – შვილებისთვის განათლება მიეცათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ვასილ კობტონაშვი-ლი თავისი კორესპონდენციებით ეპოქის ერთ-ვარ შემატინედაც გვევლინება, რამდენდაც იგი დეტალურად აღწერს ხალხის ყოფა-ცხოვრებას, განათლების მდგომარეობას. არ მოსწონდა, რომ მასწავლებლებს არ ჰქონდათ საკმარისი ცოდნა და ქართული ენის სწავლებას სათანადო ყურად-ღება არ ექცევოდა: „სკოლებში არ იყო ერთობლივი პროგრამა. მასწავლებლები ასწავლიდნენ საკუთარ მეთოდით და გეგმით, უმთავრესად მექანიკური დაზეპირება ბატონობდა. მასწავლებლებიდან ძა-ლიან მცირეს ჰქონდა სასწავლებლო სემინარია დამთავრებული, უმრავლესობას კი ოთხკლასიანი სასწავლებელი, ზოგიერთს – არც ერთი და არც მეორე, მაგრამ მაინც „მასწავლებლობა“. მაგა-ლითად, სოფელ მუსხში მასწავლებელი ღარბოვი (ბერძენი) ქართულად ძლივს ლაპარაკობდა, ხოლო რაბათის სკოლის არზრუმელი სომეხი მასწავლე-ლის ქართული ენის უცოდინარობით მოსწავლეები იტანჯებოდნენ“ (ვ. კობტონაშვილი, კორესპონდენ-ცია, ვახ. „ივერია“, N3, 1892).

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვახუთ „ივერის“ ფურცლებზე ვასილ კობტონაშვილის მრავალი საინტერესო კორესპონდენცია დაბეჭდა მუსხის ეთნოგრაფიული წარმონიქის თვალსაზრი-სით. უპირველესად მხედველობაში გვაქვს მოსახ-ლეობის დახასიათება: „ზნობის მხრივ თითქმის ყველა მხარის ხალხზე მალა დაგას. გარყვნილი, აღვირახსნილი ცხოვრება არ აქვთ, არც მამაკაც-თა და არც დედაკაცთა შორის არ შეინიშნება. ხალხი ცუდს (ბოროტს) – ღვთისმგმობელ საქმეს ძლიერ ერიდება, წირვა-ლოცვაზედ სიარული ძა-ლიან უყვართ, სამღვდელს წყევლასა და რისხვას ძალიან ერიდებიან“.

პირველი და შესანიშნავი ხასიათის სიკეთე ხალხისა ის არის, რომ ერთმანეთში მხუჭის დროს უშევრისა და ცუდის სიტყვის ხმარება არ იციან. სასიამოვნოა, რომ სოფელში ერთმანეთის მოჩ-ხუბარ-მაგინებელს სახალხო არცხვენენ. ავა-ზაკობას აქ ვერ შეხვდებით და თუ მცირედდნი რამე დაიკარგა, ხელად შეიყრებიან, ქურდს დაუნ-ყებენ ძებნას და თუ იპოვეს, ვაი იმის დღეს...!

ლოთობა და ლაზლანდარობაც საკიცხა-ვი აქვთ“ (ვ. კობტონაშვილი, „მეიმძენი ახალციხის მაზრის ქართველთა შესახებ“, მუსხი, ვახ. „ივერია“, N22, 1894). ეს არ იყო მხოლოდ მუსხელთა დახასიათება. ეს ზო-გადად იყო ამ კუთხის მოსახლეობის დახა-სიათებაც, მუსხი კაცის ხასიათის, ბუნების წარმონიქება.

ვასილ კობტონაშვილმა თავისი საგაზე-თო სტატიებიდან დიდი ამაგი დასდო სოფელ მუსხის კერძოდ, ქართველ ხალხს ვააცნო მისი ისტორია, ზნე-ჩვეულებანი, სწავლა-ვა-ნათლების მდგომარეობა. თავისი შორეულ-ლობითა და მოღვაწეობით კი ადგილობრივი გლეხების უანგარო სიყვარული დაიმსახურა. ამიტომაც არის, რომ მის შესახებ ინფორმა-ციას მუსხელები თაობიდან თაობას გადას-ცემენ. მაგალითისთვის მოვიტანთ გიორგი ივანიძის მიერ 1993 წელს სოფელ მუსხში არჩილ ოქროშელიძისაგან ჩაწერილ მასალას: „ამ დროისათვის მუსხის ოთხკლასიანი სკო-ლის შენობა იყო ეკლესიის გვერდით. ერთში მასწავლებელი ცხოვრობდა, სამში კი გლეხე-ბი. მასწავლებელად მუშაობდა ვასილ კობტონაშვილი და ერთი მღვდელი. სწავლა მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. ვასილ კობტონაშვილი იყო ძალიან მკაცრი და მომთხოვნი“ (ვ. ივანიძე, ვასილ კობტონაშვილი, ვახ. „ლიტერატურული მუსხეთი“, N3 (87), გვ.9, 2006).

ვასილ კობტონაშვილის შესახებ ცნობები დღე-საც მოეპოვებათ მუსხის მოსახლეობას უფროსი თაობებისაგან გადმოცემებით სავით. „ღაზარე მა-ისურაძის (მისი ყოფილი მოსწავლის) გადმოცემით სწავლა-ლაზრდის საქმეში სიმკაცრეს იჩენდა, ფი-ზიკურად დასჯის მეთოდებს მიმართავდა. მეცადი-ნეობას მუდმივად და „აზიაცკებში“ გამოწყობილი ატარებდა. იგი იყო მაღალი მხარბეჭითი, წარმოსადე-გი, შავგვერდის პიროვნება, შემართებული, ენერგი-ული და ულაღბო. ქართული სულის მატარებელი, რომელმაც მრავალ მუსხელს გაეზავა და აზი-არა დიდ ცოდნას (მთარბეჭითი ციკო მისი სწავლა).“

XIX საუკუნის მდგომარეობით ახალციხის მაზ-რაში სკოლების რაოდენობა ძალზედ უმნიშვნელო იყო. ბევრი სოფელი ითხოვდა სკოლის გახსნას. მაზრის ასამდე სოფლიდან მხოლოდ ექვსივედ სო-ფელში იყო სკოლა გახსნილი. მათ შორის – მუსხის სკოლა. 1918-1919 წლებში სამცხე-ჯავახეთში გან-ვითარებული მოვლენები მუსხის სკოლასაც აისა-ხა. კერძოდ, თურქთა თავდამსხმელებმა ამ კუთხის სხვა სოფლების მსგავსად მოარბიეს, გაძარცვეს და გადაწვეს მუსხიც, საბჭოთა ხელისუფლების დამყა-რების შემდეგ, 1924 წელს, მუსხის კვლავ აღსდა სკოლა. სწორედ იმ დროიდან დაიწყო მუსხის სკო-ლის ისტორიაში ახალი პერიოდი...

სოსო გიქოშვილი

გასული საუკუნის ქართული მხატვრული სიტყვის ერთ-ერთი საუკეთესო, ორიგინალური ხედვის შემოქმედია ნიკო (ნიკოლოზ) მერაბის ძე ლორთქიფანიძე (1880-1944). მწერალი შემოქმედებით გზას მაშინ დაადგა, როდესაც 1905 წლის რევოლუციის მარცხის შემდეგ საზოგადოებრივი ცხოვრება უკიდურესად დაიძაბა და გამწვავდა, როდესაც თვითკულტურის სფეროშიც თავი იჩინა გულგრილობამ, სულიერი დაცემულობის განცხობამ. ევროპიდან საქართველოში ახლადდაბრუნებული (1908 წ.) ახალგაზრდა ლორთქიფანიძე ვერ ასცდა დასავლეთში უკვე გავრცელებულ მოდერნიზმულ მიმდინარეობათა ერთგვარ გავლენას. ამის შესახებ მწერალი ლეო ქიაჩელი სამართლიანად შენიშნავდა, რომ – „ნიკო ლორთქიფანიძე არ შეიძლება დარჩენილიყო გარეშე იმ დიდი ლიტერატურულ-ესთეტიკური მოძრაობისა, მით უმეტეს, რომ იგი შეესწრო მას ევროპაში ყოფნის დროს და მისი პირველი ნაბიჯები სალიტერატურო ასპარეზზე დაემთხვა ახალი ლიტერატურული გემოვნების განმტკიცებას“. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ



ქვეყნისათვის უსარგებლოდ მიაჩნდა, ცხოვრების მოვლენების მისგან შეუმჩნეველად მიედინებოდა. მოულოდნელად ერთმა უბრალო გარემოებამ უცებ გაუღვიძა დახშული გრძობა სამშობლოს სიყვარულისა. ყველამ ამ ქვეყანას დაუბრუნა და მოქალაქეობრივი მოვალეობა გაახსენა: აღდგომის წინა ღამეს, სახლიდან ქუჩაში გამოსული უაზროდ დაეხეტებოდა, პოლოს ბაგრატიის მთაზე ავიდა. იქ „ძველებურადვე მოღუშული ბაგრატიის ნანგრევები“ გადაელოა და თვალწინ საოცარი სურათი გადაეშალა: „ვარსკვლავებით მოჭებილი ცის ლიტანიის „ჯვარცმული ერის მხიარული ღაღაისი“ შეერთებოდა „ჯვარცმული ქრისტეს აღდგომის გამო“. მინიატურის გმირს ნაწახი ვერავს ზოთ აეხსნა. „ყველაფერს თვალი მთარია და ისევე გულგრილად გაყვება ტაძრის კედელს. მივარდნილ ადგილზე ნანგრევს ვიღაცა დაყრდნობოდა და ჩუმად, გულმზურვალედ ლოცულობდა... ღმერთო აღადგინე, მკვდრებით აღადგინე, ღმერთო ჯვარცმული აღადგინე ერთი და მეორე ძალა და სიმზზე. მეც ნელ-ნელა დავეშვი მუხლებზე, იმედის შუქმა გააპო მკერდი და ქრისტე აღდგა მაშინ ჩემს გულში“. ნიკო ლორთქიფანიძე ხედავდა საზოგადოების მაღალ ფენებში თანდათან როგორ იკიდებდა

ასული და მათხოვარი“ (1912). თავადის ასულის ერთმა, შეიძლება გაუცხოებულმა, მაგრამ ადამიანურმა საქციელმა, სრულიად შეცვალა მათხოვარი, რომელიც გამანამებელმა ცხოვრებამ არარაობად აქცია. იგი არავისგან არ მოელოდა განკითხვასა და თანადგომას, მთ უფრო, მისი სიცოცხლის გადასარჩენად თავის განწირვას. მათხოვარი, რომელსაც ადრე არარაობად მიაჩნდა თავი, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ თავდაც ჩვეულებრივი ადამიანი იყო, როცა დადიანის ასულმა ადრეულ მდინარეზე დაიყვანა მშვიდობით. კაცი, რომელიც ძონძებით იყო მოსილი, კოჭლი და კუჩიანი, რომელიც პირუტყვის სალავას ნატვრად და გომურში ეძინა, მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, რაც გადაარჩინეს, მიხვდა, უცებ გონება გაუნათდა და გულის სიღრმიდან ადამიანური ხმა მოესმა, რომ ილია საზოგადოების განუყოფელი ნაწილი იყო. მათხოვრის არსება მოულოდნელმა სიამაყემ მოიცვა, იგრძნო სიკეთისა და სიყვარულის ძალა, სიძულვილის გრძობას ზურგი აქცია. „მთხველი, – გაიძახოდა იგი, რომ დადიანი, ოდიში მთავარი, ქართლ-კახეთის მეფე, თვით ყინი სპარსეთისა და ხვანთქარი ოსმალეთისა, ისეთივე ადამიანები არიან, როგორც მე, მანანალა

სამშობლოს სიყვარული (ნიკო ლორთქიფანიძის ლიტერატურული პორტრეტი სათავეს)

არსებით და ძირეული ნ. ლორთქიფანიძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ის იყო, რომ ბავშვობიდანვე კლასიკური ლიტერატურისა და ეროვნული ზეპირსიტყვიერების ტრადიციებზე იზრდებოდა და სალოცავ ხატად მხოლოდ ერთადერთი რამ – საქართველო ჰქონდა. ამ შემთხვევაში, უფრო მართებულად, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები მივაჩინო, რომელიც წარმოთქვა ნიკო ლორთქიფანიძის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე 1955 წელს: „მართალია ნიკო ლორთქიფანიძემ ხარკი მიუზღო იმპერიალიზმს, მაგრამ ამ გარემოებამ ვერ დააზიანა მისი ჯანსაღი რეალიზმი“.

ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გზა ისე წარმართა, რომ მის ერთგულ შვილებს ქვეყნისა და ადამიანის პიროვნული თავისუფლების იდეა ღვთაებრივ იდეად ესახებოდათ, მაგრამ ამ იდეისაგან დაცლილი ლიტერატურა ვერასოდეს დაიკავებდა კუთვნილ ადგილს ქართულ მწერლობაში და იგი უკვალოდ ჩაივლიდა. სწორედ ამ იდეის ერთგულებამ მოუტანა ნიკო ლორთქიფანიძეს საყოველთაო აღიარება და უაღრესად ეროვნული შემოქმედის ღამაზი სახელი.

სამშობლო „თავსაფარიანი დედაკაცის“ ავტორისთვის ერთ-ერთი ღვთაება იყო, ხოლო ადამიანი – სალოცავი ხატი. ადამიანის სახელი მწერლის შემოქმედებაში ამაყად გაისმოდა. ადამიანი იყო ის რთული ფენომენი, რომლის შინაგანი სამყაროს ახსნითაც თავისი ფილოსოფიური, ისტორიული, პატრიოტული, ზნეობრივი მრწამსის გამჟღავნებას რომ ახერხებდა ნიკო ლორთქიფანიძე. სიახლე, რომელიც მან ქართულ მწერლობაში მხატვრული თავისებურებით – ფრაზის ლაკონურობით, რიტმული ფორმით და სიუჟეტის არატრადიციული აგებულებით შემოიტანა, სრულიად არ უპირისპირდებოდა ქართული ლიტერატურის საერთო იდეურ-ესთეტიკურ მიმართულებას. ნ. ლორთქიფანიძე ევროპიდან სამშობლოში როცა დაბრუნდა, სასტიკი რეაქციული პერიოდი მკვინარებდა (იგულისხმება 1905 წლის ამბები; ს.გ.), მაგრამ მას არ შეეძლო ყური არ მიეგდო ხალხის გოდებისთვის, არ განეცადა ქართველი კაცის დამცირებისა და სამშობლოს უბედურების ტკივილები, განდგომოდა „გარეგან ქვეყანას“, როგორც თავად იტყვოდა ხოლმე და მართოდ ეწვიოდა საკუთარ სულში ჩაკეტილიყო. ნ. ლორთქიფანიძის თხზულებათა ზნეობრივი პათოსი ნათლად გამოხატავდა ავტორის ეროვნულ სულისკვეთებას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავდა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის იდეურ-ესთეტიკურ მიმართულებასაც. აქ უფრო მეტის თქმაც შეგვიძლია: ნიკო ლორთქიფანიძის ადრინდელი მინიატურები მოკლებული როდი იყო დიდ სოციალურ აზრსა და ღირებულებებს, მხოლოდ კულტურის ფორმით არ იქცეოდა ყურადღებას ეს თხზულებები. მათში საკუთარი მხატვრული სტილის ძიებასთან ერთად, აშკარად გამოიკვეთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე რთული კოლიზიების (პროცესების) ღრმა გაგება-გააზრება. ამას ნათელყოფს ჯერ კიდევ 1908 წელს დაწერილი მოთხრობა „მოლოდინი“, სადაც მაკაფიოდ შეიგრძნობა, ერთი მხრივ, ნეგატიური დამოკიდებულება გამეფებული

„სიმყუდროვისა“ (ეს თავად ავტორის ტერმინია, ს.გ.) და, მეორე მხრივ, სიყვარული ქვეყნის ნათელი მომავლისადმი, ცხოვრების პროგრესისადმი. ამ მოთხრობით პირდაპირ ეხმიანება და უპირისპირდება 1905 წლის მოვლენების შემდეგ გაბატონებულ საზოგადოებრივ ატმოსფეროს. თხზულებაში ავტორის თავისუფლებისმოყვარე, სულის მშფოთვარე ხმა ისმის. მოთხრობის გმირს გული უწუნს გაჭიანურებული მოლოდინით, იგი მოლოდინის დღეებს „ფერმკრთალ სიცოცხლეს“ უწოდებს და გამოხს მას.

შუალაოდ ამ მოტივს აგრძელებს მინიატურა „რიჟრაჟი“, რომელიც 1908 წელსვე დაწერილია. აქ ბუნების უბრალო სურათი როდია გადმოცემული. რიჟრაჟი სიმბოლოა გათენებისა, კონკრეტული დროის საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამეფებული წყვილადის გაფანტვის მოლოდინისა. თხზულების გმირს სული ესუთება ამ მოლოდინის გაჭიანურებით და მკითხველის გასაგონად გულისტკივილით, ხმაშაღვალა აცხადებს – „როდისღა ვხახავთ დილას, მზის სხივებში მცურავ დილას“. ვფიქრობთ, აქ მკითხველს დიდი ილიას ლექსი „გაზაფხული“ უნდა გაახსენდეს:

„აყვავებულა მდელი, აყვავებულა მთები, მამული საყვარელი, შენ როსღა აყვავდები?“

უკვე დიდი მიხვედრა არ უნდა, რომ ნიკო ლორთქიფანიძის, როგორც ახალგაზრდა მწერლის ჭეშმარიტი მასწავლებელი და გზის გამკვლევი სწორედ ილია ჭავჭავაძე უნდა ყოფილიყო.

მას სძულდა პასიურობა, შემგუებლობა, როცა ხედავდა, რომ ირგვლივ არაფრისმთქმელ სიმყუდროვეს, დასადაგურებინათითქოს აღარავის ანტირესტავდა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა და მშვიდად შეპყურებდა სამშობლოს მძიმე მდგომარეობას, მის მომავალს. მწერალი ასეთ ქმედებას „სადრახად და სახელის გამტყუებად“ მიიჩნევდა ესეიგი, რომელიც 1909 წელს დაწერა სახელწოდებით „მრცხვინა“. აქ ნ. ლორთქიფანიძე დაწვრილებით როდი გვიხსნის თავის ჩანაფიქრს და არც დასკვნებს გვთავაზობს. მწერალის სულ რამდენიმე ლიტერატურულ შტრიხს ხატავს და დანარჩენს სათქმელს თვითონ მკითხველს მიანდობს. გავისხენოთ სომოს, უცხოეთში გადახვეწილის სევდა სამშობლოზე. ამ თემაზე სხვა მწერალი უფრო ვრცელ მოთხრობას, შეიძლება, რომანსაც დაწერდა, შექმნიდა თუნდაც ათასგვარ კონფლიქტს, სათავგადასავლო ამბებს, მაგრამ ნიკო ლორთქიფანიძემ მკვიდრობის მინიატურით – „გული“ (დაწერილია 1908 წ.), მკითხველი საზოგადოების სულიერი მდღეობა გამოხატა, კერძოდ, ქართველი კაცი უცხოეთში მოკვდა და როცა გაკვთეს, ნახეს საოცრება: გულის ნაცვლად ფერფლი დარჩენილიყო, ასევე შემოკლილი გავისხენოთ დიდი შინაგანი ემოციით აღბეჭდილი მინიატურა – „ქრისტე აღდგა მაშინ ჩემს გულში“ (1910 წ.). მინიატურის პერსონაჟს „ნისლიან-ბურუსიან ქვეყანაში“ სრულიად დაჰკარგოდა სულის სიმშვიდე, აღტაცების, სიყვარულისა და სიძულვილის გრძობა. უიმივოდ დაიარეოდა, ადრე თუ ბუნების მშვენიერება ხიბლავდა და ახარებდა, ახლა აღარაფერი ესმოდა, თავი მარტოსულად, უცხოდ და



ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმი

ფეხს გულგრილობა, ეროვნული მისწრაფებებისადმი ინერტიული დამოკიდებულება, როგორ ცვლიდნენ მამულიშვილურ მოვალეობას ვინრო, ეგოისტურ ინტერესებზე და ყველა ღონეს ხმარობდა მათ მიერ მივიწყებული ნამდვილი მამულიშვილობის გრძობა რიგით ქართველებში გაეფიციებინა. ერთ-ერთი მისი პროგრესულად მოაზროვნე გმირი – გიორგი (მოთხრობა „ტლუ შიჭი“), ხალხში ჩამდგარიყო და გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ილია ჭავჭავაძის ნერილს ხმაშაღვალა კითხოლოდა. მსმენელნი აღტაცებაში მოდიოდნენ, „მაგის დამწერის მამაკი ვაცხონო“, – გაიძახოდნენ და სთხოვდნენ კიდევ ერთხელ გაემორებინა წაკითხული. მსმენელთა გატაცებით კმაყოფილი გიორგი მათ სურვილს გულმოდგინებით ასრულებდა: „ – მამული! ესღა ეს დიდებული სიტყვა თითოეული ჩვენგანის უძრავ ქონებას ნიშნავს და არა მთელი ხალხის სამშობლო ბინასო...!... იმეორება გიორგი დიდი ილიას სიტყვებს.“

ნიკო ლორთქიფანიძის სამშობლოს ბედზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა, ფხიხელი გონებით აფასებდა ცხოვრების აუკარგს.

მძაფრად გრძობდა და პირად ტკივილად მიიჩნევდა ერის ტკივილებს. 1910 წელს დაწერილი მინიატურა „საქართველო იყიდება!“ რეალური სინამდვილის უტყუარი სურათი იყო და ხალხის გამოძახებულ ზარივით რეკავდა. ამავე დროს, ამ „ხმაშაღვალ ყოფიანში“ შერეული იყო საზოგადოების უძლურობით შემოთავებული პატრიოტის ნალველი, რომელიც მწუხარე მოქმასაც ჰგავდა. სამშობლოზე ფიქრი მთელი ცხოვრების მანძილზე ნიკო ლორთქიფანიძის სულის განუყოფელი ნაწილი იყო. აქვე გვინდა მწერლის უფრო გვიანდელი, 1917 წელს დაწერილი მინიატურა – „ლიტერატურული საღამო“ – გავისხენოთ, რომელიც „საქართველო იყიდებას“ იღვას ავითარებს. ლორთქიფანიძემ თითქოს იგრძნო ვითარების შეცვლის დასაწყისი, მის ოცნებასაც თითქოს აღსრულებდა ენერა, მაგრამ რეალურს ჯერ ვერაფერს ხედავდა და ხალხს თავის უწმინდეს მოვალეობას ახსენებდა: „... მოუარეთ საქართველოს! პირდაპირ ღამაზე ამბავია „დადიანის

მათხოვარი“. მოცემული ნოველით, რომელიც, ალბათ, უფრო ლეგენდაა, ხატოვნად გვიხსნის ავტორი, რომ „ადამიანი მუდამ ადამიანია“. ამასთან მისი ჰუმანიზმის არსი, მაგრამ არც ის ავიწყდება, რომ ადამიანის, სრულფასოვანი მხოლოდ თავისუფლებისათვის მებრძოლი.

ნ. ლორთქიფანიძის ჰუმანიზმი აქტიურია, ქმედითი, ადამიანის თავისუფლებისათვის შემართული. მისთვის უცხოა შემგუებლობა, განსაცდელის გულგრილად ატანა. იგი უკივხავს ადამიანში ფეხმოკიდებულ მკვირვებით სიმშვიდეს, რომელსაც სურვილი აღარ აქვს აქტიური ცხოვრების ფერხულში ჩაებას. მწერალს სძულს ბედს შეგუებული, საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლის სურვილს მოკლებული ადამიანი. ეს გრძობა ნიკო ლორთქიფანიძემ მკითხველს განაცდევინა ესეიგი „მონა“, სადაც ვკითხულობთ:

– მე მონა ვარ!
– რა ვუყოთ! იბრძოლე! განთავისუფლდი...
– მე სუსტი ვარ...
– თავისუფლების სიყვარული მოგვცემს მოსეს კვერთხს და დავითის შურდულს...
– არა მაქვს იმედი!
– არაფერია, ბრძოლაში იმედიც დაიბადება!
– მეშინია უარესის...
– მონობაზე უარესი რაღა იქნება?
– სიკვდილი... შიმშილი...
– მონა ხარ მართლაც, ჭეშმარიტად მონა, ნაკლებად საცოდავი, ვიდრე საზიზღარი...“

მშვენიერებას, სიღამაზე ნიკო ლორთქიფანიძე მიზნისკენ სწრაფვაში, მუდმივ ქმედებასა და მოძრაობაში ხედავს (აქ მკითხველს უთუოდ გაახსენდება დიდი ილიას სიტყვები: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი“; მას იზიდავს და ხიბლავს „მხოლოდ ტალღათა შორის მებრძოლი ხომალდი“, ნავსადგურში მდგარი კი „ულამაზო სახლად“ მიაჩნია. ასეა ადამიანი „სანამ ისწრაფვის, მანამდე აქვს შრო და ლაზათი“, მაგრამ, სამწუხაროდ, როცა მიაღწევს სანადევს, მაშინვე კარგავს ძველ შემართებას.



ნ.ლორთქიფანიძე მძაფრად არ უპირისპირებს ერთმანეთს ოცნებასა და სინამდვილეს, რეალურსა და ირეალურს, სასარგებლოსა და სასიამოვნოს, თუმცა, მათ შორის, განსხვავების ზღვარს მაინც დებს. *„ბედნიერია, ვინც სასარგებლოსა და სასიამოვნოს შორის, ზღვარის დადებას მოახერხებს“* – გვეუბნება თავისი პერსონაჟის პირით: *„სასარგებლოს – პატივისცემა, დახმარება; სასიამოვნოს – სიყვარული, თავყნისცემა“* – იმეორებს ნიკო ლორთქიფანიძე იმავე გმირის პირით. მწერლისთვის სასიამოვნო – სილამაზის, მშვენიერების, სიყვარულის, ჭკუმიტიტი ხელოვნების სიმბოლოა, სასარგებლო კი – არსებობისთვის აუცილებელი, თუმცა სულიერებისთვის – უმნიშვნელო. ნ.ლორთქიფანიძე ადამიანის სულის საზრდოს მეტ უპირატესობას ანიჭებს, ვინაიდან თუ ადამიანი დაკარგავს ამ საზრდოს, მაშინ ადამიანიც საერთო სახეს დაკარგავს.

მწერლის ჰუმანიზმი, ადამიანისა და ადამიანურის სიყვარული განსაკუთრებული ძალით მჭიდროდ მინიატურებსა და ნოველებში, რომლებიც დედაშვილობის პრობლემას ეძღვნება. აქ იგი მღვდელმწიფის გულში

მაგრამ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი მის ისტორიულ ხასიათს უარყოფდა. პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ პერსონაჟთა და დეტალების ფაქტობრივი სიზუსტე არ აინტერესებდა, როგორც მხატვარი ფანტაზიას ფართო გასაქანს აძლევდა, მით უფრო მხატვრულ სიმართლეს.

მრისხანე ბატონი ლევანი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილია, იგი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა და დაუნდობლომით ირგველი ყველას შიშის ზარს სცემდა. ის მხეცურად უსწორდებოდა შინაურსა თუ გარეულს, ნათესავსა თუ უცხოეს, მდიდარსა თუ მდაბოს. ლევანმა შემზარავად აწამა თავისი მეუღლე – ციცილო და ძმისწული ვახტანგი, რომლებიც ხარებს რქებით დააგლეჯინა. უფრო შემზარავია ზედატყვისეული ჭაბუკის დახვდა უბრალო შეცდომის გამო. ბატონის საქციელით აღმოფრთხილული ლეკებიც კი ერთმანეთს განციფრებულნი ეჭურჩულებოდნენ – ეს რა ხალხში ჩავცვივდითო.

ფეოდალური არისტოკრატიის ცხოვრებაში უფრო ღრმად ჩაგვახედა და სოციალურ წინააღმდეგობათა დაძაფრებული სურათები დაგვიხატა ნიკო ლორთქიფანიძემ *„უამთა სიავეში“* (1920 წ.). ამ მოთხრო-

ბების კონტრასტული ვიდეო ფეოდალურ არისტოკრატიასთან. თვითონ იულონიც ხომ ამას ამბობდა: *„... ყველაფერი, რაც კარგია ჩემში, მან (ძიძამ; ს.გ.) შემათვისაო“*... ძიძას დედაზე უფრო მოამაგედ, ნამდვილ აღმზრდელად თვლიდა, როდესაც ძიძა, იულონის შინ არ ყოფნისას, გარდაიცვალა, დაბრუნებისას გული ძალიან დასწყდა, დიდი აღაპი გადაიხადა – ჭიქკარი გააღებინა, თუ სადმე მდებარის, გლახაკი და ღარიბ-ღატაკი



იყვენ, ყველანი მიიპატიო. მღვდელსაც მოუხმო მადლიერმა აღზრდილმა, ძიძის სულის სახად – აწირვინა. იულონი

თავისი სიკეთითა და უბრალოებით ხალხში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. როცა ნაღიმს გაშარტავდა, ხალხში ჩაჯდებოდა, გვერდით გლუხებს მოსვამდა და მათ სიმღერებს ალტაცებულნი უსმენდა. რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავდა, თითქოს მასა და გლუხებს შორის ზღვარი ნაშლილიყო, მაგრამ დანარჩენ დიდგვაროვნებზე, რომლებიც ექიმებოდნენ და სამშობლოს ინტერესებს პირადულს უპირისპირებდნენ, მთელი თავით მალდა იდგა. იულონი თავისი დროის პროგრესულ იდეებს უჭერდა მხარს, მომხრე იყო ძლიერი, ერთიანი საქართველოსი, ძლიერი მეფის მეთაურობით, მეფისა, ვინც დატრავდა ფეოდალთა ვერაგობასა და სიბოროტეს.

მოთხრობაში *„ეკრისთვის“* (1914 წ.) ნიკო ლორთქიფანიძემ ძველი ქართული სოფლის მაგალითზე მხატვრულად წარმოაჩინა, თუ სადამე შეიძლება მიეყვანა ადამიანი კერძო, მესაკუთრე ფსიქოლოგიას. როგორც დასცა და დაარღვია ოჯახი პირადმა ინტერესებმა. ოჯახს კი მწერალი ყოველთვის მიიჩნევდა ქვეყნის სიმტკიცის საფუძვლად და თვლიდა, რომ თუ ოჯახი მოიშლია, ეს იქნებოდა ეროვნული უბედურება. ამ აზრს ეხმიანება *„დანგრეული ბუდეები“* (1917 წ.), მაგრამ აქ ოჯახის გარდა, ფართო ისტორიული სოციალური პრობლემები ასახული. მიუხედავად პრობლემებისა, ერთგვარი სევდიანი განწყობა რომ ახლავს მოთხრობას, ჩვენი აზრით, სწორედ ოჯახის, ძირძველი კერის დაქვეითებით უნდა იყოს განპირობებული. ნიკო ლორთქიფანიძის მოცემული ნაწარმოების მიხედვით ფეოდალური წოდების დევრადაცია როდი აწუხებდა, მას ღრმა სევდა მოერეოდა, როცა წარმოიდგენდა, რომ ინერგოდა ისტორიულად ჩამოყალიბებული კერია, რომელთანაც დაკავშირებულია წინაპართა ტყვიანი თუ სისარული, ქვეყნის ტრადიციები და აწმყო, თავისი მომავლით. მწერალი მიიჩნევდა, რომ ტრადიციების ერთგულება მისთვის მუდამ წარმოადგენდა ოპტიმიზმის სათავეს, როდესაც ტრადიციებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ მოთხრობა *„რაინდები“* (1921 წ.). ხშირად ამ თხზულებას ლიტერატურის ზოგიერთი კრიტიკოსი რატომღაც ცალმხრივად განიხილავდა და, ჩვენი აზრით, უმართლებლოდ განმარტავდა მის მთავარ პათოსს, ვერ ანგებოდა ტექსტის ღრმა აზრს. მწერალი *„რაინდების“* მიხედვით იმდენად არ აინტერესებს სახელმწიფოებრივი ურთიერთობები, რამდენადაც ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე გაიმარჯვებული წესობრივი ნორმები. მას მიაჩნდა, რომ საზოგადოების ზნეობრივ იდეალებს გაჯერდას უფრო იმ შემთხვევაში, თუ დავიფიქსირებთ წინაპართა ეთიკურ ტრადიციებს, რაშიც ქართველი ხალხის ერთიანი სულიერი თავისებურება მუდამდებდა. *„რაინდები“* ხატუნად ასახული ვაჟაყვატა რომანტიკულია და შეფერილი, მკითხველს ხიბლავს მთავრად თავდადება, მაგრამ არც ესაა მთავარი, მთავარია მამა-პაპათა მიერ შემოქმედებული გადმოცემული ის ზნეობრივი ნორმები, რომელსაც ღირსეული ქართველი ვაჟაყვატები ბრძოლის დროსაც რომ არ ივინყებენ. ისტორიულად ცნობილია, რომ ქართველი კაცი მარტოოდნე ხმლის ქვეით არ ფასდება, იგი საზოგადოების

სიყვარულს თავისი რაინდული სულისკვეთებით, სამართლიანობის გაცდობით იმსახურებდა. *„რაინდები“* ყურადღებამი საქცევია ის გარემოებაც, რომ თხზულებაში რეალურადაა წარმოდგენილი გონიერი, სამშობლოს ერთგული – ზალიკას მხატვრული სახე. ამ პერსონაჟის ხასიათის შექმნით მან ოსტატურად გამოხატა მშრომელი, ბრძენი ქართველი ხალხის მთლიანი სახე და უაღრესად ეროვნული გრძნობა.


